UN JOINT PROGRAMME FOR GENDER EQUALITY

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში - არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები

სპეციალური ანგარიში

2022 | დემოკრატიისა და მმართველობის ცენტრი

©2022, საქართველოს სახალხო დამცველი,
„დემოკრატიისა და მმართველობის ცენტრი“, ყველა უფლება დაცულია.

ანგარიშზე პასუხისმგებელი:

გოგა ხატიაშვილი

ანგარიშის ავტორები:

ნატი გელოვანი, თამარ რობაქიძე, გვანცა ხარატიშვილი

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში “დემოკრატიისა და მმართველობის ცენტრის“ მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით. მასალა მომზადდა შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. მისი შინაარსი წარმოადგენს „დემოკრატიისა და მმართველობის ცენტრის“ პასუხისმგებლობას, და, შესაძლოა, არ ასახავდეს შვედეთისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის ხედვას.

სარჩევი

შესავალი **5**

კვლევის მეთოდოლოგია **5**

კვლევის შეზღუდვები **6**

ძირითადი ტენდენციები **7**

თავი I. ბავშვთა ქორწინების სამართლებრივი რეგულირება - საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა **10**

1. ბავშვობის ასაკში ქორწინების ცნება და მისი საზიანო შედეგები 10

2. ბავშვთა ქორწინების სტატისტიკა და გავრცელების მასშტაბები მსოფლიოში 12

3. საერთაშორისო სტანდარტები ბავშვთა ქორწინების აკრძალვის შესახებ 12

4. ბავშვთა ქორწინების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში 14

თავი II. ბავშვთან ქორწინების მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა **16**

თავი III. სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზი **21**

1. დანაშაულის გამოვლენასა და გამოძიებასთან დაკავშირებული საკითხები 21

1.1. დანაშაულის შესახებ შეტყობინება და გამოძიების დაწყება 22

1.2. ბავშვის გამოკითხვა და შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობა 24

1.3. გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვლევა 27

1.4. არასრულწლოვნის დაცვა შესაძლო ზეწოლისგან 28

1.5. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება საქალწულე აპკის გამოსაკვლევად 30

1.6. გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები 31

2. საქმის სასამართლოში განხილვა 32

2.1. განაჩენის დასაბუთებულობა 32

2.2. სასჯელის დანიშვნა 35

თავი IV. თვისებრივი კვლევის ანალიზი **36**

1. სამართალდამცავებთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები 36

2. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს თანამშრომლებთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები 37

3. მანდატურის სამსახურის თანამშრომლებთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები 39

4. სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები 42

5. სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები 44

წინადადება საქართველოს პარლამენტს **44**

რეკომენდაციები **45**

შესავალი

ადრეული/ბავშვთა ქორწინება არის ადამიანის უფლებების დარღვევა და მავნე პრაქტიკა, რომელიც არაპროპორციულად მოქმედებს ქალებსა და გოგოებზე და ხელს უშლის მათ იცხოვრონ ყოველგვარი ძალადობისგან თავისუფალ გარემოში.

ადრეული/ბავშვთა ქორწინება საფრთხეს უქმნის გოგოების სიცოცხლეს, კეთილდღეობასა და მომავალს მთელ მსოფლიოში.[1] არ-თმევს მათ შესაძლებლობას, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები თავიანთი ცხოვრების შესახებ, ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას, განათლებას, ხდის უფრო დაუცველს ძალადობისა და დისკრიმინაციის მიმართ და ხელს უშლის მათ სრულ მონაწილეობას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ საქმიანობაში.

„დემოკრატიისა და მმართველობის ცენტრმა“, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით, ჩაატარა კვლევა ადრეული/ბავშვთა ქორწინების საკითხებზე. კვლევის პროცესში, ბავშვობის ასაკში ქორწინების მოტივით ჩადენილი დანაშაულის რეალური მასშტაბების, გამოყენებული დაცვისა და პრევენციის ღონისძიებებისა და შესაბამის სპეციალისტთა მიდგომების შესაფასებლად, ასევე, არსებული გამოწვევების გამოსავლენად, დეტალურად გაანალიზდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა და სისხლის სამართლის საქმის მასალები, რელევანტური სტატისტიკური მონაცემები, შესაბამის სპეციალისტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეები.

საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინების ფაქტებზე უწყებების კოორდინირებული, ეფექტიანი და დროული რეაგირება. კერძოდ, ბავშვობის ასაკში ქორწინების ფაქტებზე რეაგირების ეროვნული სტრატეგიის კოორდინაცია როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ დონეზე, ისეთ სახელმწიფო უწყებებს შორის, როგორიცაა განათლების სამინისტრო, სახელმწიფო თავშესაფარი, სამართალდამცავი ორგანოები, ჯანდაცვის სამინისტრო და სხვ.[2]

კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა მართლმსაჯულების სფეროსა და შესაბამისი უწყებების საქმიანობაში არსებული გამოწვევები. სწორედ მათ საფუძველზე მომზადდა ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები, რამაც შესაძლებელი გახადა საქართველოში ბავშვთა ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული და ეფექტიანი რეაგირების პოლიტიკის მხარდაჭერა და გამოვლენილი ტენდენციების თაობაზე სახელმწიფო უწყებებისა და საზოგადოების ინფორმირება.

ვიმედოვნებთ, რომ ჩატარებული კვლევის შედეგად მომზადებული ანგარიში დაეხმარება, პირველ რიგში, სახელმწიფო უწყებებს ბავშვობის ასაკში ქორწინების აღმოსაფხვრელად ეფექტიანი და თანმიმდევრული ღონისძიებების დაგეგმვაში და ასევე, საზოგადოების წევრებს პრობლემის სათანადოდ გააზრებასა და ცნობიერების ამაღლებაში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, გააანალიზოს ადრეული/ბავშვთა ქორწინების საკითხებზე საკანონმდებლო თუ მართლმსაჯულების აღსრულებასთან დაკავშირებული ბარიერები და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების გზით ხელი შეუწყოს ამგვარ შემთხვევებზე პრევენციული და ეფექტიანი რეაგირების პოლიტიკის გაუმჯობესებას.

კვლევაში შესწავლილია სახელმწიფო უწყებების პოლიტიკა ადრეული/ბავშვთა ქორწინების პრევენციის, აღმოფხვრისა და რეაგირების პროცესში, ასევე შეფასებულია ბავშვთა ქორწინების რეალური მასშტაბები, გამოყენებული დაცვისა და დახმარების ღონისძიებებისა და ბავშვთა ქორწინების მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტიანობა.

კვლევის პირველ ეტაპზე მომზადდა მეთოდოლოგია და განისაზღვრა საკითხის შესწა-

1 Child marriage, UNICEF, https://uni.cf/3SsvZb8 [03.10.2022].

2 Child, early and forced marriage, Report of the Secretary-General, United Nations, 29 July 2016, 17, para: 64, https://bit.ly/3CDCT6D [17.10.2022].

ვლის ძირითადი ინსტრუმენტები. ასევე, მომზადდა სამაგიდო კვლევა, რომელმაც მოიცვა როგორც ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები, ისე საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები.

კვლევის მეორე ეტაპზე გაანალიზდა ბავშვთან ქორწინების მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ საგამოძიებო, ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების პრაქტიკა. კერძოდ, წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და საერთო სასამართლოებიდან გამოვითხოვეთ განაჩენებისა და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებების ასლები. ამ დოკუმენტაციის გააანალიზების შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვითხოვეთ სისხლის სამართლის საქმეების სრული მასალები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე, 143-ე და 1501 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, სადაც გამოიკვეთა ბავშვთან ქორწინების მოტივი.

ანგარიშში, ასევე წარმოდგენილია ადრეული/ბავშვთა ქორწინების საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან და სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების საფუძველზე მომზადებული თვისებრივი კვლევის შედეგები.[3] ასევე, ბავშვთა ქორწინების რეალური მასშტაბებისა და ტენდენციების გასაზომად, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან გამოვითხოვეთ სეგრეგირებული სტატისტიკური ინფორმაცია.

ყოველივე ამის პარალელურად, გაანალიზდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2020-2021 წლებში და 2022 წლის პირველ 6 თვეში შესწავლილი 51 საქმე, რის შედეგადაც გამოვლენილი ტენდენციები შესაბამის თემატურ თავებში აისახა.[4]

კვლევის მესამე ეტაპზე მომზადდა რეკომენდაციები, რაც შესაბამის უწყებებს დაეხმარება ბავშვთა ქორწინების პრევენციისა და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების გაუმჯობესებაში, ასევე, სამოქმედო გეგმებისა და ადვოკატირების ღონისძიებების განხორციელებაში.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა 74 სისხლის სამართლის საქმე, რომლებიც ჩადენილია და მათ მიმართ მართლმსაჯულება განხორციელდა 2020 და 2021 წლებში. კვლევაში შესულია ისეთი საქმეები, სადაც სამართალწარმოება დასრულებულია პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოში, ან რომელზეც შეწყდა გამოძიება.[5] კვლევა არ მოიცავს დანაშაულებს, რომლებიც, მართალია, ჩადენილი იყო ზემოაღნიშნულ პერიოდში, მაგრამ ისინი ჯერაც გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის სტადიაზეა, ან არ გამოიკვეთა არასრულწლოვანთან ქორწინების მოტივი.

კვლევის ფარგლებში შესწავლილია საერთო სასამართლოებიდან მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე და 1501 მუხლებით გათვალისწინებული ყველა (სულ 12 საქმე) სისხლის სამართლის საქმე, რომლებიც ზემოაღნიშნულ პერიოდში და ბავშვთან ქორწინების მოტივით იქნა ჩადენილი. ხოლო, რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, საერთო სასამართლოებიდან მიღებული საქმეების დიდი რაოდენობიდან

3 ბავშვთა ქორწინების სფეროში არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების შესასწავლად, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ჩაატარეს 196 ფოკუს-ჯგუფი და 12 პირისპირ ინტერვიუ უშუალოდ იმ სპეციალისტებთან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ბავშვთა ქორწინების პრევენციაზე, გამოვლენასა და რეაგირებაზე, ასევე შეხვედრები გაიმართა სკოლის მოსწავლეებთან - 2022 წლის მარტი-მაისის პერიოდში აჭარაში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში, ქვემო ქართლში, გურიაში, ზემო-სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სამეგრელოსა და იმერეთში. თვისებრივ კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 2027-მა ადამიანმა. მათგან სკოლის მოსწავლე იყო 1085; სკოლის დირექტორი (ან დირექტორის მოადგილე) - 17; მასწავლებელი - 683; მანდატური - 132; პოლიციელი - 36; სოციალური მუშაკი - 74.

4 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებს, ძირითადად შეისწავლის ანონიმური წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, მედიაში, სოციალურ ქსელში ან სხვა ღია წყაროებში გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

5 74 საქმიდან, 39 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო 35 საქმეზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის მოტივით.

გამომდინარე (67 საქმე),[6] შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, საქალაქო/რაიონული სასამართლოებიდან გამოთხოვილ იქნა მხოლოდ 27 საქმის სრული მასალების ასლები.

ასევე, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების ასლები იმ საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება დაიწყო 2020 და 2021 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე და 1501 მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და რომლის სავარაუდო მოტივიც იყო არასრულწლოვანთან ქორწინება. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს, ვინაიდან საქმეების სიმრავლიდან გამომდინარე საქართველოს გენერალური პროკურატურიდან შეუძლებელი იყო 2020-2021 წლებში მომხდარი საქმეების სრულად მოწოდება, გამოვითხოვეთ გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების ასლები იმ საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება დაიწყო 2020 და 2021 წლების შემდეგ თვეებში: იანვარი, მაისი, ივნისი, სექტემბერი, ოქტომბერი და დეკემბერი და რომლის ჩადენის სავარაუდო მოტივიც იყო არასრულწლოვანთან ქორწინება

შედეგად, პროკურატურიდან მოგვეწოდა 65 დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ. კვლევის ფარგლებში შესწავლილია ყველა დადგენილება, ხოლო 65 საქმიდან 35 საქმეზე, ასევე შესწავლილია საქმის სრული მასალები.

ძირითადი ტენდენციები

როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლამ, ისე თვისებრივი კვლევის ჩატარებამ და სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზმა, გამოავლინა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- გამოძიება უმეტესად იწყება დაუყოვნებლივ, გაუჭიანურებლად. კერძოდ, საქმეთა 80%-ში გამოძიება შეტყობინების გაკეთების დღესვე დაიწყო; ასევე, გამოძიებას, ძირითადად (85%) ენიჭებოდა შეტყობინების შინაარსის შესაბამისი სათანადო კვალიფიკაცია;
- გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა (სულ 3 საქმე), როდესაც სავარაუდო დანაშაული მოხდა სხვა ტერიტორიულ ერთეულში, თუმცა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საქმე დაიქვემდებარა პოლიციის იმ განყოფილებამ, რომელმაც ჩაატარა გადაუდებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები,[7] რაც დადებითად უნდა შეფასდეს;
- არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების ხარისხი, პოლიციის სხვა დანაყოფებში წარმოებულ მსგავს საქმეებთან შედარებით, მაღალია. კერძოდ, საქმეთა უმეტესობაში ჩატარებულია, ფაქტობრივად ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება და ძირითად შემთხვევებში, შესწავლილია საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა დეტალი;
- იმ საქმეებში, სადაც თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან ერთად, ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, პროკურატურის მიერ ამგვარი ქმედება გაუპატიურებად ან გაუპატიურების მცდელობად დაკვალიფიცირდა (სულ 3 შემთხვევა), რაც ადეკვატური და სწორი პრაქტიკაა. თუმცა ეს

6 აღსანიშნავია, რომ 67-ვე საქმე არ ეხებოდა არასრულწლოვანთან ქორწინების ფაქტს. შესაბამისად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოთხოვილია მხოლოდ ის საქმეები, რომლებიც აღნიშნული მოტივით იყო ჩადენილი.

7 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება საგამოძიებო ორგანოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ექვემდებარება თუ არა მას კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე. ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, შესაძლებელია, რომ საქმე გამოსაძიებლად დარჩეს იმ საგამოძიებო ორგანოს, რომელმაც ჩაატარა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები.

მიდგომა სასამართლოს უმეტესად არ გაუზიარებია, რაც სასამართლოების მიერ შეუსაბამოდ მაღალი მტკიცებულებითი სტანდარტისა და გაუპატიურების დროს ყველა შემთხვევაში მსხვერპლის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის სტერეოტიპული მოთხოვნებით აიხსნება;[8]

- სავარაუდო დაზარალებული არასრულწლოვნის გამოკითხვას უმეტესად (საქმეთა 55% შემთხვევაში) ატარებდა იმავე სქესის გამომძიებელი, თუმცა საქმეთა 45%-ში გამოვლინდა არასრულწლოვნის სხვა სქესის გამომძიებლის მიერ გამოკითხვის პრაქტიკა, მათ შორის, გაუპატიურების, სხვა სახის სქესობრივი დანაშაულისა და ქორწინების იძულების საქმეებში;

- კვლავ პრობლემურია ეფექტიანი და გამართული კოორდინაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის და რეფერირების პროცედურების გამართულად მუშაობა;

- პრობლემად რჩება ბავშვთა ქორწინების შემთხვევების გამოვლენა და მათი გადამისამართება (რეფერირება). გამოიკვეთა რეფერირებაზე პასუხისმგებელი სუბიექტების მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევები;

- შესაბამის სპეციალისტებს, განსაკუთრებით მასწავლებლებს, არ აქვთ სათანადო ინფორმაცია და ცოდნა ბავშვობის ასაკში ქორწინების გამოვლენის ინდიკატორების, რეფერირების პროცედურებისა და ვალდებულებების შესახებ;

- უწყებებს განსაკუთრებით უჭირთ ბავშვობის ასაკში ქორწინების ისეთ ფაქტებზე რეაგირება, რომლებიც არ ქმნის დანაშაულის შემადგენლობას.[9] ეს, გარკვეულწილად, შეიძლება ეფექტიანი საკანონმდებლო ბერკეტების ნაკლებობით აიხსნას;

- სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების შესწავლა აჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა შესაძლო ნიშნობის შემთხვევაში, უწყებების მხრიდან, უმეტესად ვერ ხერხდება სავარაუდო ქორწინების იძულების გამოკვეთა;

- გამომძიებლის მიერ არასრულწლოვანი მსხვერპლისათვის დასმული შეკითხვები ხშირად შაბლონურია და ბავშვისთვის გასაგებ ენაზე არ არის ფორმულირებული. ასევე გამოვლინდა დისკრიმინაციული, არარელევანტური და სტერეოტიპული შეკითხვების დასმის პრაქტიკა;

- გამოვლინდა ცალკეული შემთხვევები (74 საქმიდან, 3 შემთხვევაში), როდესაც ერთსა და იმავე ფაქტთან დაკავშირებით, ორ სხვადასხვა განყოფილებაში ერთდროულად მიმდინარეობდა გამოძიება, რის გამოც, არასრულწლოვანი, ერთსა და იმავე საქმეზე, ორჯერ გამოიკითხა;

- იმ საქმეებში, სადაც ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარებას ვაგინალური ფორმით, მტკიცებულების შეგროვების პროცესში, უმეტესწილად გადამწყვეტ როლს ასრულებდა საქალწულე აპკის მთლიანობის დადგენის მიზნით დანიშნული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, მაშინ, როდესაც არასრულწლოვანთან ვაგინალური ფორმით სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტი შეიძლება დადგინდეს სხვა მტკიცებულებებით, საქალწულე აპკის შემოწმების გარეშე, რომლებიც არ არის დისკრიმინაციული და მატრამვირებელი;

- უმეტესად არ ხდება საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთა, რაც გამოწვეულია დაზარალებულის/მოწმის გამოკითხვისას შესაბამისი კითხვების დაუსმელობითა და სათანადო მტკიცებულებების მოძიების დეფიციტით; ასევე, საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებების მიუხედავად, ბრალდების შესახებ დადგენილებებში არ ყოფილა

8 მოსამართლემ ერთ საქმეში გაუპატიურება შეცვალა არასრულწლოვნის თანხმობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის მუხლით, ხოლო ერთ საქმეში პირი გაამართლა გაუპატიურების ბრალდებაში. მხოლოდ გაუპატიურების მცდელობის საქმეზე დაადგინა მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი.

9 აქ უმეტესად მოიაზრებიან 16-დან 18 წლამდე სავარაუდო არასრულწლოვანი დაზარალებულები, რომლებთანაც, ქორწინების მიზნით, ფაქტობრივი თანაცხოვრება დაიწყეს სრულწლოვანმა პირებმა.

მსჯელობა ამის თაობაზე;[10]

- → გამოვლინდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც ბავშვის გამოკითხვის პროცესზე მისი კანონიერი წარმომადგენლის დასწრება ეწინააღმდეგებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და საჭირო იყო საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა;
- → უმეტესად არ არის სათანადოდ დასაბუთებული გამომძიებლის გადაწყვეტილება საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის საჭიროების შესახებ;
- → მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამის ვალდებულებას, დაბალია საქმეებში ფსიქოლოგის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორისა და ადვოკატის ჩართულობის მაჩვენებელი. კერძოდ, ფსიქოლოგი მონაწილეობდა საქმეთა 10%-ში; მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობის მაჩვენებელი საქმეთა 5%-ში გამოვლინდა და საქმეთა 10%-ში ჰყავდა არასრულწლოვანს დაზარალებულად ცნობამდე ადვოკატი[11]
- → სავარაუდოდ, დაზარალებულზე შესაძლო ზემოქმედების რისკების არასათანადო შეფასებით იყო განპირობებული არასრულწლოვნისა და მათი მშობლების მიერ პოზიციის შეცვლა, მათ შორის, უარის თქმა მართლმსაჯულებაში მონაწილეობის გაგრძელებაზე. ამ მიზეზით, რიგ შემთხვევებში, ქორწინების იძულების მიზნით, თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმეებზე არასრულწლოვნები ითხოვენ შეღავათების გამოყენებას ბრალდებულების მიმართ ან უარს ამბობენ სასამართლოში ჩვენების მიცემაზე;
- → ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული დანაშაულების შეუტყობინებლობისა და ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტებზე, უმეტესად არ ხდება მათი ჩამდენი პირების პასუხისგებაში მიცემა/სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება;
- → საქმეთა უმეტესობაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. კერძოდ, 39 საქმიდან, 29 საქმეზე (74%) დაიდო საპროცესო შეთანხმება; საპროცესო შეთანხმების გაფორმების პრაქტიკა, განსაკუთრებით მაღალია სრულწლოვნის მიერ 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულებზე;
- → დამნაშავეთა მიმართ უმეტესად გამოიყენება პირობითი მსჯავრი[12] და დაბალია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი;[13]
- → სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენები, ძირითადად შაბლონური და ზედაპირულია, განსაკუთრებით იქ, სადაც საპროცესო შეთანხმებაა გაფორმებული. ძალიან მწირია მსჯელობა ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, ასევე, ნაკლებად არის დასაბუთებული დამნაშავეთა მიმართ გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა; აქცენტი, ძირითადად, საპროცესო ნორმების დაცულობის საკითხზე და არა საქმის შინაარსობრივ მხარესა და მათ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე კეთდება;
- → ბავშვობის ასაკში ქორწინების გამო, არასრულწლოვანი გოგოები, ხშირად წყვეტენ განათლების მიღებას ან ექმნებათ სხვადასხვა ბარიერი და დაბრკოლება სკოლაში სასიარულოდ და საგაკვეთილო პროცესზე დასასწრებად;

10 39 საქმეში რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, არ იყო დასმული შესაბამისი კითხვები გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოსაკვეთად, მიუხედავად იმისა, რომ როგორც დანაშაულის ბუნება, ისე საქმის კონტექსტი მიანიშნებდა ამგვარი მოტივის არსებობაზე. ასევე, 12 საქმიდან, სადაც კითხვების დასმის გარეშეც დგინდებოდა გენდერული დისკრიმინაციის მოტივის არსებობა, მხოლოდ 2 საქმეში გაკეთდა მითითება ამის შესახებ ბრალდების შესახებ დადგენილებაში.

11 ადვოკატის ჩართულობის შესახებ მონაცემები დათვლილია იმ საქმეებიდან, სადაც არასრულწლოვან დაზარალებულს გამოძიების საწყის ეტაპზევე ჰყავდა ადვოკატი და არა დაზარალებულად ცნობის შემდეგ, როდესაც უკვე სავალდებულოა საქმეში ადვოკატის მონაწილეობა. დაზარალებულად ცნობის შემდეგ, არასრულწლოვანს ყველა შემთხვევაში დაენიშნა ადვოკატი. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს უფლება აქვს ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით.

12 ქორწინების იძულების სამივე საქმეში პირობითი მსჯავრი გამოიყენეს.

13 მხოლოდ 11 საქმეში მიუსაჯეს დამნაშავეს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა.

- კვლავ დაბალია საზოგადოების ცნობიერება ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკისა და საკანონმდებლო რეგულაციების თაობაზე, რის გამოც უმეტესად არ ატყობინებენ პოლიციას ან სხვა სახელმწიფო უწყებას სავარაუდო დანაშაულის შესახებ;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აწარმოებს ოფიციალურ სეგრეგირებულ სტატისტიკას ბავშვთა ქორწინების მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე. მიუხედავად იმისა, რომ შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი პერიოდულად, სხვადასხვა ანგარიშის ფარგლებში, ამუშავებს მონაცემებს, აღნიშნული ვერ შეფასდება საკმარისად და არ არის სრულყოფილი.

თავი I. ბავშვთა ქორწინების სამართლებრივი რეგულირება - საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა

1. ბავშვობის ასაკში ქორწინების ცნება და მისი საზიანო შედეგები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი საზიანო პრაქტიკად (harmful practice) მოიაზრებს სოციალური ნორმებით გამყარებულ ისეთ ქმედებებს, რომელთაც საფუძვლად უდევს დისკრიმინაცია სქესის, გენდერის, ასაკის ან სხვა ნიშნით, და, ხშირ შემთხვევაში, ძალადობის ფორმას წარმოადგენს. საზიანო პრაქტიკებს, ასევე განაპირობებს დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთი, ჯვარედინი ფორმები, რომელშიც იგულისხმება დისკრიმინაცია არა მხოლოდ სქესის/გენდერის ნიშნით, არამედ მასთან დაკავშირებული სხვა მახასიათებლებიც. ამგვარ პრაქტიკას მიეკუთვნება, მათ შორის, ბავშვობის ასაკში ქორწინება.[14]

ტერმინი „ბავშვთა ქორწინება", რომელსაც ბავშვობის ასაკში ქორწინებას ან ადრეულ ქორწინებასაც უწოდებენ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გულისხმობს ქორწინებას, რომლის ერთ-ერთი ან ორივე მხარე 18 წელს მიუღწეველი პირია.[15] კერძოდ, იგი განიმარტება, როგორც ნებისმიერი ფორმალური ან არაფორმალური/არარეგისტრირებული კავშირი 18 წლამდე ასაკის ბავშვსა და ზრდასრულ ადამიანს ან სხვა არასრულწლოვანს შორის. არაფორმალური/არარეგისტრირებული კავშირია, როდესაც წყვილი გარკვეული დროის განმავლობაში ერთად ცხოვრობს, ანუ იმყოფებიან ფაქტობრივ თანაცხოვრებაში, აპირებენ ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ არ ჰქონიათ ოფიციალური სამოქალაქო ან რელიგიური ცერემონია.[16]

ბავშვთა ქორწინება გენდერული უთანასწორობის შედეგია, და ის ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალთა და გოგონათა უფლებრივ მდგომარეობაზე.[17] მსოფლიოს მასშტაბით, ბავშვობის ასაკში ქორწინების მსხვერპლები უმეტესად გოგოები არიან, თუმცა, ზოგჯერ, არასრულწლოვანი მამრობითი სქესისაა.[18] გლობალურად, ბიჭებში არასრულწლოვანთა ქორწინების გავრცელება მხოლოდ მეექვსედია, ვიდრე გოგოებში.[19] ბევრ ქვეყანაში, გოგოებს, რომლებსაც ჰქონდათ ურთიერთობა ან დაორსულდნენ ქორწინების გარეშე, არცხვენენ ოჯახის შეურაცხყოფის გამო, ან უკრძალავენ სკოლაში სიარულსაც კი. ასეთ პირობებში მშობლები ადრეულ ქორწინებას აღიქვამენ გამოსავლად, თავიანთი შვილებისა და ოჯახების დასაცავად. ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზი ასევე შეიძლება

14 თამარ დეკანოსიძე, ქორწინების იძულების გენდერული ნიშნის გამოკვეთა, კავკასიის უნივერსიტეტი, 2021, 5-6.

15 Committee on the Elimination of Discrimination against Women & Committee on the Rights of the Child, Joint general recommendation/general comment No. 31 of the Committee on the Elimination of Discrimination against Women and No. 18 of the Committee on the Rights of the Child on harmful practices, CEDAW/C/GC/31-CRC/C/GC/18, 4 November 2014, 7, para: 19, https://bit.ly/3Cr1jl6 [03.10.2022].

16 Child marriage is a violation of human rights, but is all too common, https://bit.ly/3C2kBfg [03.10.2022].

17 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2017, 146, https://bit.ly/2USUtgz [03.10.2022].

18 Committee on the Elimination of Discrimination against Women & Committee on the Rights of the Child, Joint general recommendation/general comment No. 31 of the Committee on the Elimination of Discrimination against Women and No. 18 of the Committee on the Rights of the Child on harmful practices, CEDAW/C/GC/31-CRC/C/GC/18, 4 November 2014, 7, para: 19, https://bit.ly/3Cr1jl6 [03.10.2022].

19 Child Marriage, UNICEF, https://uni.cf/3M38gMh [03.10.2022].

იყოს სოციალური ნორმები და პრაქტიკა, სიღარიბე, დაუცველობა, სოციალური მარგინალიზაცია (საზოგადოებაში ზოგიერთი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის ნაკლებად ინტეგრირება) და სხვ.[20]

ბავშვობის ასაკში ქორწინება, თავისი არსით, ქორწინების იძულების ფორმაა. არასრულწლოვანთა ქორწინება მიიჩნევა იძულებით ქორწინებად, ვინაიდან ერთ ან/და ორივე მხარეს არ გამოუხატავთ სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა.[21]

ქორწინებაზე „თავისუფალი და სრული" თანხმობის უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, სადაც ნათქვამია, რომ დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე დასაქორწინებელი მხარის თავისუფალი თანხმობის პირობებში.[22] როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი განმარტავს, დეკლარაციის მე-16 მუხლის პირველ ნაწილში გაკეთებული დათქმა, რომ „ყოველ სრულწლოვან მამაკაცსა და ქალს რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე უფლება აქვს დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი", ნიშნავს ბავშვის ან/და იძულებითი ქორწინების აკრძალვას და რომ თანხმობა არ შეიძლება იყოს „თავისუფალი და სრული", როდესაც ერთ-ერთი მონაწილე არ არის საკმარისად მოწიფული იმისათვის, რათა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება.[23]

კომისარი აგრეთვე მიუთითებს, რომ იძულებითი ქორწინება არის ქორწინება, რომელშიც ერთ-ერთმა და/ან ორივე მხარემ პირადად არ გამოთქვა სრული და თავისუფალი თანხმობა კავშირზე. შესაბამისად, არასრულწლოვანთა ქორწინება მიიჩნევა იძულებითი ქორწინების ფორმად, იმის გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთმა და/ან ორივე მხარემ არ გამოთქვა სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა.[24]

კანონმდებლობამ უნდა მოახდინოს იძულებითი ქორწინების კრიმინალიზება და უნდა აღიაროს, რომ ნებისმიერი ბავშვთა ქორწინება არის იძულებითი ქორწინება. კანონმდებლობამ ასევე ფართოდ უნდა განმარტოს იძულებითი ქორწინება, მათ შორის, უნდა გაითვალისწინოს სრული და თავისუფალი თანხმობის კონცეფცია. იძულებითი ქორწინების დანაშაული უნდა შეფასდეს ზიანისა და დამამძიმებელი ფაქტორების მიხედვით.[25]

არასრულწლოვანთა და იძულებით ქორწინებებს შორის განსხვავების აღიარებისას, GREVIO მიუთითებს, რომ გოგოების ახალგაზრდა ასაკი ნიშნავს იმას, რომ უფრო მაღალი რისკია იმისა, რომ მათ ვერ შეძლონ სრული და თავისუფალი თანხმობის გამოხატვა, ან ქორწინებაზე წინააღმდეგობის გაწევა.[26] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქორწინების იძულება მოიცავს ბავშვობის ასაკში ქორწინებასაც, ვინაიდან არასრულწლოვნის „თანხმობა" უშუალოდ ქორწინებაზე, მისი ასაკიდან გამომდინარე, არ არის სარწმუნო და მხედველობაში მისაღები.

ბავშვთა ქორწინებისა და იძულებითი ქორწინების საზიანო შედეგები კარგად არის ასახული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანოების მიერ. ბავშვთა, ნაადრევი და იძულებითი ქორწინება საყოველთაოდ აღიარებულია როგორც მავნე პრაქტიკა და ადამიანის უფლებების დარღვევა. ასეთ მავნე პრაქტიკას არაპროპორციულად უარყოფითი გავლენა აქვს ქალებსა და გოგოებზე და წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს მათი

20 https://bit.ly/3dYngOU [03.10.2022]; ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება საქართველოში, მიმოხილვა, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისი, https://bit.ly/3E2qaes [11.11.2022].

21 Committee on the Elimination of Discrimination against Women & Committee on the Rights of the Child, Joint general recommendation/general comment No. 31 of the Committee on the Elimination of Discrimination against Women and No. 18 of the Committee on the Rights of the Child on harmful practices, CEDAW/C/GC/31-CRC/C/GC/18, 4 November 2014, 7, para: 19, https://bit.ly/3Cr1jl6 [03.10.2022].

22 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 16 (2), https://bit.ly/3rWgIUt [14.10.2022].

23 Pres Release on Universal Declaration of Human Rights, OHCHR, Article 16, https://bit.ly/3RW7cLx [13.10.2022].

24 Child and forced marriage, including in humanitarian settings, OHCHR, https://bit.ly/3RujXwM [03.10.2022].

25 Criminalization of Forced and Child Marriage, Virtual Knowledge Center to End Violence against Women and Girls, UN Women, 2011, https://bit.ly/3MmYzst [05.10.2022].

26 GREVIO's (Baseline) Evaluation Report on legislative and other measures giving effect to the provisions of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention) TURKEY, 2018, para: 238, 80, https://bit.ly/2q9sb3d [05.10.2022].

ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ჯანმრთელობის მრავალი ასპექტისთვის.[27]

ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგოებს ართმევს ბავშვობას და საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გოგოები, რომლებიც 18 წლამდე ქორწინდებიან, უფრო ხშირად განიცდიან ოჯახში ძალადობას, ტოვებენ სკოლას. მათ აქვთ უფრო მძიმე ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ვიდრე მათ თანატოლებს. გოგოები, რომლებიც ბავშვობის ასაკში დაქორწინდნენ, ხშირად ორსულდებიან, და ამ დროს მაღალია ორსულობისა და მშობიარობის დროს გართულებების რისკი როგორც თავად გოგოებისთვის, ასევე მათი ჩვილებისთვის. ბავშვთა ქორწინებისას გოგოები იზოლირებული არიან ოჯახისგან და მეგობრებისგან. ადრეულ ასაკში ქორწინება, ასევე გამორიცხავს მათ საზოგადოებაში მონაწილეობას, რაც დიდ ზიანს აყენებს მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.[28]

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში დაქორწინებულ გოგოებსა და ბიჭებს, არ ემუქრებათ ერთნაირი რისკები და შედეგები ბიოლოგიური და სოციალური განსხვავებების გამო, არასრულწლოვანთა ქორწინების პრაქტიკა ორივე სქესის ბავშვების უფლებების დარღვევაა.

2. ბავშვთა ქორწინების სტატისტიკა და გავრცელების მასშტაბები მსოფლიოში

იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში რამდენიმე ქვეყანაში ბავშვთა ქორწინების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში 100 მილიონი გოგო ბავშვობის ასაკში ქორწინების რისკის წინაშე დგას. ბოლო ათი წლის განმავლობაში, ბავშვთა ქორწინების გავრცელება შემცირდა მთელ მსოფლიოში - ათწლეულის წინ, ყოველი მეოთხე გოგო იყო დაქორწინებული, დღეს კი, ყოველი მეხუთე, რაც ბავშვთა ქორწინების დაახლოებით 25 მილიონით შემცირებაზე მიუთითებს. მსოფლიოში გავრცელებულმა „COVID-19"-ის პანდემიამ მილიონობით გოგოს ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. დახურულმა სკოლებმა, მეგობრებისგან და მხარდამჭერებისგან იზოლაციამ და მზარდმა სიღარიბემ კიდევ უფრო გაამწვავა არსებული რთული მდგომარეობა.[29] „COVID-19"-ის პანდემიამდე, ივარაუდებოდა, რომ 100 მილიონზე მეტი გოგო დაქორწინდებოდა 18 წლის ასაკის მიღწევამდე. პანდემიის შედეგად, დამატებით კიდევ 10 მილიონამდე გოგოს დაემუქრა ბავშვობის ასაკში დაქორწინების საფრთხე.[30]

მსოფლიოში, დღესდღეობით, ბავშვობაში დაქორწინებული 650 მილიონი გოგო და ქალია. მათგან დაახლოებით ნახევარი ბანგლადეშში, ბრაზილიაში, ეთიოპიაში, ინდოეთსა და ნიგერიაშია.[31] 2022 წლის მდგომარეობით, მთელ მსოფლიოში, არასრულწლოვანი გოგოების ქორწინების დონე ყველაზე მაღალია დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში, სადაც 10 ახალგაზრდა ქალიდან თითქმის 4 დაქორწინდა 18 წლამდე.[32]

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მეტი პროგრესი შეინიშნება სამხრეთ აზიაში, სადაც გოგოების ბავშვობაში დაქორწინების რისკი მესამედზე მეტით, თითქმის 50 პროცენტიდან 30 პროცენტამდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, ბავშვობაში დაქორწინებული გოგოების საერთო რაოდენობა წელიწადში 12 მილიონს შეადგენს.[33]

3. საერთაშორისო სტანდარტები ბავშვთა ქორწინების აკრძალვის შესახებ

ბავშვთა ქორწინების საკითხი არაერთ საერთაშორისო კონვენციასა და შეთანხმებაშია განხილული. გაეროს „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კონვენციისა და ბავშვის უფლებათა

27 GREVIO's (Baseline) Evaluation Report on legislative and other measures giving effect to the provisions of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention) TURKEY, 2018, para: 238, 80, https://bit.ly/2q9sb3d [05.10.2022].

28 Child Marriage, UNICEF, https://uni.cf/3Ms8sot [13.10.2022].

29 10 million additional girls at risk of child marriage due to COVID-19, https://uni.cf/3fwembP [03.10.2022].

30 Child Marriage, UNICEF, https://uni.cf/3SSfYek [03.10.2022].

31 10 million additional girls at risk of child marriage due to COVID-19, https://uni.cf/3fwembP [03.10.2022].

32 Child marriage is a violation of human rights, but is all too common, https://bit.ly/3C2kBfg [03.10.2022]

33 Child marriage is a violation of human rights, but is all too common, https://bit.ly/3C2kBfg [03.10.2022]

კონვენციის თანახმად, სახელმწიფოებს ეკრძალებათ აღიარონ ქორწინება იმ პირებს შორის, რომლებსაც სრულწლოვანებისთვის არ მიუღწევიათ.

ბავშვთა ქორწინების აღმოსაფხვრელად სახელმწიფოებს შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართავს გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი. კერძოდ, 21-ე რეკომენდაციის თანახმად, რომელიც ეხება თანასწორობას ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან შეცვალონ არსებული კანონმდებლობა და რეგულაციები და აღკვეთონ ისეთი ჩვეულებებისა და პრაქტიკის გამოყენება, რომელიც არასრულწლოვანი გოგოების მიმართ დისკრიმინაციულია და ზიანს აყენებთ მათ.[34]

ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის თანახმად, „ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი რომელსაც 18 წელი არ შესრულებია, თუ კანონით, რომელიც ამ ბავშვის მიმართ გამოიყენება, ის უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას“. ამ დეფინიციის მიუხედავად, ვენის დეკლარაციის დებულებების გათვალისწინებით, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ქორწინების მინიმალური ასაკი ქალებისთვის და კაცებისთვისაც 18 წელი უნდა იყოს. ქორწინების შედეგად ქალები და კაცები ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში საპასუხისმგებლო უფლება-ვალდებულებებს იღებენ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, არასრულწლოვანების, განსაკუთრებით კი გოგოების ქორწინება და ბავშვების ყოლა უარყოფით გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობასა და განათლებაზე. შედეგად, იზღუდება მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობა.[35] ამავე რეკომენდაციის თანახმად, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ სამოქალაქო თუ ჩვეულებებისა და რელიგიური რიტუალების მიხედვით ჩატარებული ქორწინების სამოქალაქო რეგისტრაციაში გატარების მკაცრი ვალდებულება.[36]

ვინაიდან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტები აღიარებენ, რომ ბავშვთა და იძულებითი ქორწინების აღმოსაფხვრელად საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ბავშვთა და იძულებითი ქორწინების თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად, ასევე, ბავშვთა ქორწინების არასასურველი ზემოქმედებისგან ქალებისა და გოგოების დასაცავად, პრაქტიკული ზომები შეიმუშავა.

მათ შორის არის სახელმწიფოების ვალდებულება, უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება, კერძოდ, დაადგინონ სრულწლოვანებისა და ქორწინების კანონიერი ასაკი გოგოებისა და ბიჭებისთვის, აკრძალონ იძულებითი ქორწინება და დაადგინონ დაბადებისა და ქორწინების რეგისტრაციის ვალდებულება.

ზემოაღნიშნულის გარდა, სახელმწიფოების მიმართ გაცემული ვალდებულებები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- აღიარონ ბავშვთა და იძულებითი ქორწინება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და გენდერული დისკრიმინაციის გამოვლინება;[37]
- განახორციელონ სასწავლო პროგრამები ხელისუფლების წარმომადგენლების, სასამართლო ხელისუფლების, კანონის აღმასრულებლების და სხვა სახელმწიფო მოხელეების, მასწავლებლების, ჯანდაცვის მუშაკებისა და სხვა პირებისთვის, თუ როგორ გამოავლინონ ბავშვთა ქორწინების რისკის ქვეშ მყოფი გოგოები ან უკვე არსებული მსხვერპლები;[38]
- უზრუნველყონ გოგოების განათლების უფლება და მათი გაძლიერება;[39]
- უზრუნველყონ სამართლებრივი დახმა-

34 CEDAW General Recommendation No. 21: Equality in marriage and Family Relations, Article 16 (2), para: 36, https://bit.ly/2N9nLr5 [03.10.2022].

35 CEDAW General Recommendation No. 21: Equality in marriage and Family Relations, Article 16 (2), para: 36, https://bit.ly/2N9nLr5 [03.10.2022].

36 CEDAW General Recommendation No. 21: Equality in marriage and Family Relations, Article 16 (2), para: 39, https://bit.ly/2N9nLr5 [03.10.2022].

37 Recommendations for action against child and forced marriage, UNHR, p.9, https://bit.ly/3frWvmk [03.10.2022],

38 Recommendations for action against child and forced marriage, UNHR, p.11, https://bit.ly/3frWvmk [03.10.2022].

39 Recommendations for action against child and forced marriage, UNHR, p.12, https://bit.ly/3frWvmk [03.10.2022].

რება ბავშვთა და იძულებით ქორწინების შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის;

- უზრუნველყონ წვდომა ადეკვატურ, მეგობრულ და გენდერულად მგრძნობიარე სერვისებზე;
- უზრუნველყონ ბავშვთა ქორწინების მავნებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. დანერგონ პლატფორმები და შესაძლებლობები თემსა და ოჯახებთან დისკუსიისათვის.[40]

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ოქტომბერში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო მე-5 რეზოლუცია ბავშვთა, ადრეული და იძულებითი ქორწინების შესახებ. რეზოლუცია მიუთითებს, თუ როგორ გააძლიერა „COVID-19"-ის კრიზისმა უთანასწორობისა და სისტემური გენდერული დისკრიმინაციის მანამდე არსებული ფორმები, რომლებსაც აწყდებიან ქალები და გოგოები, და გამოიხატება ბავშვთა, ადრეულ და იძულებით ქორწინებაში. იგი მოუწოდებს სახელმწიფოებს მიიღონ ყოვლისმომცველი, მრავალსექტორული და უფლებებზე დაფუძნებული ზომები, რათა უზრუნველყონ ბავშვთა, ადრეული და იძულებითი ქორწინების აღმოფხვრა.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მხოლოდ ბავშვთა, ადრეული და იძულებითი ქორწინების კრიმინალიზაცია არ არის საკმარისი და საჭიროა დამატებითი, ყოვლისმომცველი და მრავალსექტორული გარეშე ღონისძიებები და მხარდაჭერის პროგრამები, მათ შორის, ჯანდაცვის, გენდერული თანასწორობისა და განათლების სფეროში, საზოგადოების ჩართულობით.

რეზოლუცია მთავრობებს და საერთაშორისო საზოგადოებას კონკრეტული ქმედებებისკენ მოუწოდებს, მათ შორის:

- შეიმუშაონ ყოვლისმომცველი, უფლებებზე, ასაკსა და სქესზე დაფუძნებული, ძალადობაგამოვლილ პირსა და მსხვერპლზე ორიენტირებული, მრავალსექტორული მიდგომა ქალებისა და გოგოების სრული, თანაბარი, ეფექტიანი და ინკლუზიური მონაწილეობით;[41]
- უზრუნველყონ ბავშვთა, ადრეული და იძულებითი ქორწინების მსხვერპლი ქალებისა და გოგოების წვდომა მართლმსაჯულებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებსა და საშუალებებზე.[42]

4. ბავშვთა ქორწინების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციისა და სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობითობას ემყარება.

2015 წლის 16 დეკემბრის კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლში შევიდა ცვლილებები, რომელიც 2016 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა. ცვლილებების თანახმად, ქორწინების ასაკად განისაზღვრა 18 წელი და არსებული გამონაკლისების გამოყენებისთვის დაწესდა გარკვეული ვადა. კერძოდ, 2016 წლის პირველი იანვრიდან დაუშვებელი გახდა 16 წელს მიღწეული არასრულწლოვნების დაქორწინება მშობლების თანხმობით. აგრეთვე, გაკეთდა დათქმა, რომ გარდამავალ პერიოდში (2016 წლის იანვრიდან 2017 წლის იანვრამდე) 17 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის დაქორწინება დასაშვები იქნებოდა მისი ნებით და სასამართლოს თანხმობით, ისეთი პატივსადები მიზეზების არსებობისას, როგორიც იყო ბავშვის დაბადება. 2017 წლის პირველი იანვრიდან, ამ გამონაკლისმაც დაკარგა ძალა და თანხმობის გამცემ სუბიექტებად მშობლებთან ერთად, აღარც სასამართლო მიიჩნევა. ამდენად, 2017 წლის 1 იანვრიდან აიკრძალა 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაცია და საქორწინო ასაკად განისაზღვრა 18 წელი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.[43]

ეს ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ ფონზე, როდესაც ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების უმრავლესობა

40 Recommendations for action against child and forced marriage, UNHR, p.14, https://bit.ly/3frWvmk [03.10.2022].

41 Child, early and forced marriage in times of crisis, including the COVID-19 pandemic, Human Rights Council Forty-eighth session, 7 October, 2021,p.5 https://bit.ly/3EgDkX1 [03.10.2022].

42 Child, early and forced marriage in times of crisis, including the COVID-19 pandemic, Human Rights Council Forty-eighth session, 7 October, 2021,p.5 https://bit.ly/3EgDkX1 [03.10.2022].

43 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1108.

არა ბავშვების სურვილს, არამედ მშობლების გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლები თავად არჩევდნენ ოჯახებს და შვილების დაუკითხავად წყვეტდნენ მათი დაქორწინების საკითხს. ძირითადი მამოტივირებელი კი, ოჯახების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.[44]

მართალია, კანონმდებლობით აიკრძალა 18 წლამდე პირთან ქორწინების რეგისტრაცია, რამაც დადებითად იმოქმედა ამგვარი შემთხვევების შემცირებაზე, თუმცა ხშირად ადგილი აქვს არასრულწლოვანთან არარეგისტრირებული ქორწინების ანუ ფაქტობრივი თანაცხოვრების დაწყებას, რაც ხშირად დანაშაულებრივი გზით ხდება.[45]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია რამდენიმე ქმედება, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი ხშირად არასრულწლოვანთან არარეგისტრირებული ქორწინების სურვილს უკავშირდება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დასჯადია სრულწლოვანი პირის მიერ სქესობრივი კავშირის დამყარება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან, ამ უკანასკნელის თანხმობით.[46] ასევე, დასჯადი ქმედებაა ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება.[47] აღნიშნული მუხლი არის იძულების სპეციალური, კერძო შემთხვევა, რომელიც იძულების ხერხებად მიიჩნევს დაზარალებულზე მხოლოდ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზემოქმედებას, რაც ანალოგიურია ქორწინების იძულების დანაშაულისთვისაც, მათ შორის, მაშინაც, როდესაც მსხვერპლი არასრულწლოვანია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით საქორწინო ასაკად განისაზღვრა 18 წელი და აიკრძალა არასრულწლოვანთან დაქორწინება, სისხლის სამართლის კოდექსი არ მიჰყვება ცვლილების სულისკვეთებას. ქორწინების იძულების არსებული დეფინიცია ეფუძნება დაშვებას იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანს შეუძლია თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობის გაცხადება ქორწინებაზე და დანაშაულად არ მიიჩნევა მანამ, სანამ ბავშვის წინააღმდეგ არ გამოიყენებენ ფიზიკური და ფსიქიკური იძულების ხერხებს. ამგვარი მიდგომა ბავშვს ექსპლუატაციის რისკის ქვეშ აყენებს და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით მის ეფექტიან დაცვას გამორიცხავს.[48]

ამიტომ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ეს მუხლი არასრულწლოვანთან მიმართებით იმგვარად უნდა დარეგულირდეს, რომ ბავშვს, განსაკუთრებით 16 წლამდე არასრულწლოვანს, არ შეუძლია თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობა გამოთქვას სრულწლოვანთან ქორწინებაზე. არასრულწლოვანთან მიმართებით უნდა მოქმედებდეს ისეთივე მიდგომა, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევაში, სადაც აქტი და შედეგი ქმნის დანაშაულს. შესაბამისად, ბავშვთან ქორწინება უკვე უნდა მიიჩნეოდეს დანაშაულად და იძულების ის ხერხები, რომლებიც სრულწლოვნის შემთხვევაში მოქმედებს (ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება), ბავშვთან მიმართებით არარელევანტური უნდა იყოს.[49]

ქორწინების იძულების მიზნით არასრულწლოვნის მოტაცების შემთხვევები კვალიფიცირდება სსკ-ის 143-ე ზოგადი მუხლით, რომელიც თავისუფლების უკანონო აღკვეთას წარმოადგენს და სასჯელის სახით 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ეს ქმედება ცალკე მუხლად იყო კრიმინალიზებული - ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით (134-ე მუხლი).

ზემოთ განხილული ქმედებები დანაშაულთან ერთად არის სოციალური და კულტურული ფენომენი და მათთან ბრძოლა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით შეუძლებელია. ამ დანაშაულების თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად საჭიროა კომ-

44 ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2016, 11, https://bit.ly/3ye0DwK [03.10.2022].

45 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2017, 146, https://bit.ly/2USUtgz [03.10.2022].

46 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 140, ითვალისწინებს 7-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას.

47 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 1501, ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ორ წლამდე, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

48 თამარ დეკანოსიძე, ქორწინების იძულების გენდერული ნიშნის გამოკვეთა, კავკასიის უნივერსიტეტი, 2021, 31-32.

49 თამარ დეკანოსიძე, ქორწინების იძულების გენდერული ნიშნის გამოკვეთა, კავკასიის უნივერსიტეტი, 2021, 49.

პლექსური ღონისძიებების გატარება, რაც მოიცავს საგანმანათლებლო, სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართულ ზომებს, ახალგაზრდების შესაძლებლობების გაზრდას, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებასა და ბავშვობის ასაკში ქორწინების ძირეული მიზეზის - პატრიარქალური და დისკრიმინაციული კულტურის გარდაქმნას. დანაშაულთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი მექანიზმები, რაც ბავშვობის ასაკში ქორწინების აღსაკვეთად არა ერთადერთი, თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, უნდა გამოიყენებოდეს სხვა ზომებთან ერთობლიობაში, ინტერდისციპლინური მიდგომის შესაბამისად.[50]

ბავშვთა ქორწინების აღმოფხვრის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის, სოციალური სამსახურებისა და პოლიციის როლი. „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის #437 დადგენილებით განსაზღვრულია შესაბამის უწყებებს შორის კოორდინაციისა და არასრულწლოვნის მიმართ სავარაუდოდ ჩადენილი ძალადობის, მათ შორის, ბავშვთან ქორწინების თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში შეტყობინების განხორციელების პროცედურა და წესი. დოკუმენტში დეტალურადაა ჩამოთვლილი ის სახელმწიფო უწყებები, რომლებიც ვალდებულნი არიან, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გადაამოწმონ ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი შემთხვევა, მოახდინონ ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და აწარმოონ შემთხვევის მართვა.[51]

თავი II. ბავშვთან ქორწინების მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა[52]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წელს, არასრულწლოვანთან სავარაუდოდ ქორწინების მოტივით ჩადენილ დაახლოებით 134 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება, 2021 წელს - დაახლოებით 212 სისხლის სამართლის საქმეზე,[53] ხოლო 2022 წლის 6 თვეში (1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით) - დაახლოებით 61 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება. ასევე, სამინისტროს განმარტებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, ბავშვთა ქორწინების საკითხებზე არ აწარმოებს ოფიციალურ სეგრეგირებულ სტატისტიკას,[54] თუმცა სხვადასხვა პერიოდში, მათ შორის, 2020 წლის ჩათვლით, შსს ამუშავებდა და აქვეყნებდა მონაცემებს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე, 143-ე და 150-ე პრიმა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების შესახებ, რომლებიც არასრულწლოვანთან ქორწინების მოტივით იყო ჩადენილი.[55]

50 თამარ დეკანოსიძე, ქორწინების იძულების გენდერული ნიშნის გამოკვეთა, კავკასიის უნივერსიტეტი, 2021, 1-2.

51 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 6.

52 ამ თავის მიზნებისათვის, ბავშვთან ქორწინების მოტივით ჩადენილ დანაშაულებად მიჩნეულია: სსკ-ის 140-ე მუხლი (სექსუალური ხასიათის შეწღევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში); სსკ-ის 143-ე მუხლი (თავისუფლების უკანონო აღკვეთა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) და სსკ-ის 150-ე პრიმა მუხლი (ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

53 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 31 ოქტომბრის #MIA 8 22 03053080 წერილი. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან რამდენჯერმე დაზუსტდა 2021 წლის სტატისტიკა, ვინაიდან მათ მიერ მოწოდებული მონაცემები არ ემთხვეოდა ერთმანეთს და არ იყო სრულყოფილი. შსს-ს მიერ დაზუსტებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ დამონიტორინგდა დაახლოებით 212 სისხლის სამართლის საქმე, სადაც ქმედების ჩადენის სავარაუდო მოტივად არასრულწლოვანთან ქორწინება გამოიკვეთა. ამ უკანასკნელ მაჩვენებელსა და შსს-ს მიერ მანამდე გამოგზავნილ კორესპონდენციაზე დაყრდნობით მოხდა სტატისტიკის გამოთვლა მუხლების მიხედვით.

54 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 4 ოქტომბრის #MIA 8 22 02781821 წერილი.

55 იხ. https://bit.ly/3Uatwm4 [28.10.2022].



რაც შეეხება არასრულწლოვანთან ქორწინების მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისგებაში მიცემული პირების რაოდენობას, 2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 42 პირის მიმართ, 2021 წელს - 67 პირის მიმართ, ხოლო 2022 წელს (6 თვე) – 44 პირის მიმართ.[56]



საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არასრულწლოვანთან ქორწინების მოტივით ჩადენილი დანაშაულები ცალკე არ გამოიყოფა და არ იწარმოება სეგრეგირებული სტატისტიკა.[57]

ცალკეული სტატისტიკური ინფორმაცია, რასაც არ აწარმოებენ სახელმწიფო უწყებები, კვლევის ფარგლებში, გამოთვლილია 2020 და 2021 წლებში ჩადენილი 74 შემთხვევის ანალიზის საფუძველზე.[58]

56 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 7 ოქტომბრის #13/63660 წერილი.

57 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 14 სექტემბრის #პ-1129-22 წერილი.

58 აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა აწარმოებს სტატისტიკას დაზარალებულისა და ბრალდებულის ეროვნების შესახებ, თუმცა ამ მონაცემის თაობაზე ინფორმაცია მოგვაწოდეს სსკ-ის 140-ე, 143-ე და 150-ე პრიმა მუხლებთან ერთობლიობაში, თითოეულ მუხლთან მიმართებით ინდივიდუალური სეგრეგირების გარეშე.


სულ
სისხლისსამართლებრივი დევნა
შეწყდა გამოძიება
140-ე მუხლი (სრულწლოვნის სექსუალური ხასიათის შეღწევა 16 წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში)
44
27
17
143-ე მუხლი (თავისუფლების უკანონო აღკვეთა)
21
9
12
150-ე პრიმა მუხლი (ქორწინების იძულება)
9
3
6


ტერიტორიული განფენილობა
სსკ-ის 140-ე მუხლი
სსკ-ის 143-ე მუხლი
სსკ-ის 150-ე პრიმა მუხლი
ქვემო ქართლი
7
9
2
აჭარა
4
3
5
კახეთი
10
2
1
იმერეთი
5
2
თბილისი
6
2
შიდა ქართლი
3
1
მცხეთა-მთიანეთი
1
1
სამცხე ჯავახეთი
4
1
1

სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში[59]

სტატისტიკის თანახმად, ამ დანაშაულზე ინფორმაციას სამართალდამცავ ორგანოებს, ძირითადად სამედიცინო დაწესებულებები აწვდიან.



ძირითად შემთხვევებში (19 შემთხვევა), სამართალდამცავ უწყებას ინფორმაცია მიეწოდა 1 თვიდან 1 წლამდე ვადაში (უმეტესად, 5 თვიდან 9 თვემდე პერიოდში). თუმცა გამოიკვეთა სამართალდამცავი ორგანოებისათვის ფაქტის ჩადენიდან ერთ თვემდე (10 შემთხვევა) ან იმავე დღეს მიმართვის შემთხვევებიც (15 შემთხვევა).

არსებული სტატისტიკა, მათ შორის, შეტყობინების სუბიექტთა ვინაობა, მიუთითებს, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ინფორმაცია ძირითადად მაშინ მიეწოდებათ, როდესაც ორსულობის გამო, არასრულწლოვანი გოგო მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას ან მშობიარობის შემდეგ, როდესაც ბავშვი იბადება.

რაც შეეხება სამართალდამცავი უწყებების რეაგირებას, გამოძიება ძირითადად მიმართვის დღესვე იწყება (32 შემთხვევაში), თუმცა გამოვლინდა გამონაკლისებიც, როდესაც გამოძიება დაიწყო შეტყობინების მეორე დღეს (3 შემთხვევა), ერთი კვირის ვადაში (7 შემთხვევა) ან ერთ თვეში (2 შემთხვევა).

საქმეთა შესწავლამ გამოავლინა, რომ ამ კატეგორიის დანაშაულზე დაზარალებულები მხოლოდ არასრულწლოვანი გოგოები იყვნენ, რომელთა უმეტესობა ეთნიკურად ქართველი იყო (17 შემთხვევა), 9 შემთხვევაში სავარაუდო დაზარალებული იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ხოლო ერთ შემთხვევაში - ეთნიკურად სომეხი. რაც შეეხება დამნაშავეთა ეთნიკურ კუთვნილებას, ძირითადად ეთნიკურად ქართველები სჭარბობენ (16 შემთხვევა), 10 შემთხვევაში ბრალდებული იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ხოლო 1 შემთხვევაში - ეთნიკურად სომეხი.[60]

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 27 საქმეზე. აქედან, 24 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 3 საქმეზე - ნაწილობრივ გამამტყუნებელი.[61] მოცემული საქმეების უმეტესობაზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება (23 საქმე).

59 სტატისტიკა დათვლილია 44 საქმიდან.

60 სტატისტიკა დათვლილია 27 საქმიდან, რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

61 იმ საქმეებში, სადაც დადგა ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი, დამნაშავე ბრალდებული იყო რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში. 2 შემთხვევაში, პირი ბრალდებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე და 126-ე პრიმა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში (მოსამართლემ გაამართლა პირი 140-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში და დამნაშავედ ცნო ოჯახში ძალადობის ჩადენაში), ხოლო 1 საქმეში, პირი ბრალდებული იყო გაუპატიურებისა და ძალადობის ჩადენაში (მოსამართლემ გაუპატიურების ბრალდება გადააკვალიფიცირა სსკ-ის 140-ე მუხლზე და დამნაშავედ ცნო აღნიშნულ ქმედებისა და ძალადობის ჩადენაში).

რაც შეეხება გამოყენებულ სასჯელებს, დამნაშავეთა უმეტესობას პირობითი მსჯავრი (24 შემთხვევა) განესაზღვრა. დამნაშავეს მხოლოდ 3 საქმეში მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 3 წელზე მეტი ვადით.[62] ამასთანავე, ხშირია პირობით მსჯავრთან ერთად, დამატებითი სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის (100-დან 200 საათამდე ვადით) გამოყენება (13 საქმეში), 2 შემთხვევაში კი გამოიყენეს ჯარიმა (3000 ლარის ოდენობით).

თავისუფლების უკანონო აღკვეთა[63]



ძირითად შემთხვევებში (18 შემთხვევა), სამართალდამცავ უწყებას ფაქტის შესახებ შეატყობინეს არასრულწლოვანი გოგოს შესაძლო თავისუფლების უკანონო აღკვეთის დღესვე, თუმცა იყო გამონაკლისებიც, როდესაც პოლიციის ინფორმირება მოხდა სავარაუდო ქმედების ჩადენიდან მეორე დღეს (2 შემთხვევაში) ან ერთი კვირის შემდეგ (1 შემთხვევაში).

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თითქმის ყველა შემთხვევაში, გამოძიება დაიწყო შეტყობინების მიღების დღესვე, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაიწყო გამოძიება მეორე დღეს.

9 საქმეში, რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, გამოიკვეთა, რომ 3 შემთხვევაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან ერთად ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანი გოგოს გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას, რის გამოც ჩადენილი ქმედებები სსკ-ის 143-ე მუხლთან ერთად, 137-ე მუხლითაც (გაუპატიურება) შეფასდა.

ამ დანაშაულის ჩადენა უმეტესად ხდება ჯგუფურად, რამდენიმე პირის მონაწილეობით, რომლებიც არიან სავარაუდო დამნაშავის ოჯახის წევრები (მაგ., დედა), ნათესავები (მაგ., ბიცოლა) ან მეგობრები.

რაც შეეხება დაზარალებულთა ეროვნებას, არასრულწლოვანი გოგო 8 შემთხვევაში იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ხოლო 1 შემთხვევაში - ეთნიკურად ქართველი. ეთნიკურობასთან დაკავშირებით ანალოგიური განაწილება იყო ბრალდებულებთან მიმართებით.[64]

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 9 საქმეზე. აქედან, 7 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, ორ შემთხვევაში კი, ნაწილობრივ მოხდა პირის მსჯავრდება წარდგენილ ბრალდებაში. ერთ შემთხვევაში ბრალდებული გამართლდა გაუპატიურების (სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის) ნაწილში, მეორე შემთხვევაში კი ქმედება გადაკვალიფიცირდა გაუპატიურებიდან (სსკ-ის 137-ე მუხლიდან) თექვსმეტ წელს მიუღწეველთან თანხმობით ჩადენილი სქესობრივი კავშირის დამყარებაზე (სსკ-ის 140-ე მუხლზე). საქმეთა უმეტესობაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება (5 საქმე), ხოლო 4 საქმე არსებითად იქნა განხილული.

62 სამივე საქმეზე არსებითი განხილვის გზით მიიღეს გადაწყვეტილება.

63 სტატისტიკა დათვლილია 21 საქმიდან.

64 სტატისტიკა დათვლილია 9 საქმიდან, რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

რაც შეეხება გამოყენებული სასჯელის სახეს და ზომას, თავისუფლების აღკვეთა გამოიყენეს 8 შემთხვევაში, პირობითი მსჯავრი კი, მხოლოდ ერთ შემთხვევაში. ამასთანავე, ხშირი იყო ძირითად სასჯელთან ერთად დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების შემთხვევები (5 შემთხვევა).

ქორწინების იძულება[65]



ძირითად შემთხვევაში (5 შემთხვევა) სამართალდამცავ უწყებას ინფორმაცია მიეწოდა ფაქტის ჩადენის დღესვე, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც პოლიციას მიმართეს ფაქტის ჩადენიდან ერთი კვირის (2 შემთხვევაში) ან ერთი წლის (2 შემთხვევაში) გასვლის შემდეგ.

სავარაუდო ქორწინების იძულების ყველა შემთხვევაზე, საგამოძიებო უწყებამ გამოძიება მიმართვის დღესვე დაიწყო.

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ.

2 შემთხვევაში დაზარალებული იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ხოლო 1 შემთხვევაში - ეთნიკურად სომეხი. დამნაშავეთა ეთნიკური კუთვნილება ემთხვევა დაზარალებულთა ეთნიკურ კუთვნილებას.

სამივე საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, აქედან ერთ საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო ორი საქმე არსებითად იქნა განხილული. თუმცა, სამივე შემთხვევაში სასამართლომ სასჯელის სახედ პირობითი მსჯავრი გამოიყენა.

თავი III. სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზი

სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლამ გამოავლინა როგორც მნიშვნელოვანი ტენდენციები, ისე ცალკეული ხარვეზები როგორც გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის პროცესში.

1. დანაშაულის გამოვლენასა და გამოძიებასთან დაკავშირებული საკითხები

74 სისხლის სამართლის საქმის შესწავლის შედეგად შეფასდა სავარაუდო დანაშაულის შესახებ შეტყობინების გაკეთებიდან, გამოძიების დასრულებამდე განხორციელებული აქტივობები და მათში მონაწილე პირთა ქმედებების კანონიერება.

65 სტატისტიკა დათვლილია 9 საქმიდან.

1.1 დანაშაულის შესახებ შეტყობინება და გამოძიების დაწყება

სხვადასხვა დანაშაულზე შეტყობინების ინიციატორები სხვადასხვა პირები და დაწესებულებები არიან. სრულწლოვნის მიერ 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარების დანაშაულებზე სამართალდამცავ ორგანოებს ინფორმაციას, ძირითადად სამედიცინო დაწესებულებები აწვდიან. თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტებზე შეტყობინების ინიციატორები უმეტესად არასრულწლოვანი გოგოს ოჯახის წევრები არიან, ხოლო ქორწინების იძულების დანაშაულებზე - შეტყობინების ინიციატორი უმეტესად სკოლა იყო.

თუმცა საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ისეთი შემთხვევაც, როდესაც ბავშვთა ქორწინების ფაქტების გამოვლენასა და გადამისამართებაზე (რეფერირებაზე) პასუხისმგებელ პირებს (საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებს) სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია შესაძლო დანაშაულის შესახებ.[66] ეფექტიანი და გამართული კოორდინაციის პრობლემა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის და რეფერირების პროცედურების გამართულად მუშაობასთან დაკავშირებული ხარვეზები ვლინდება სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეებშიც. ასევე იკვეთება უწყებებს შორის თანამშრომლობისა და სათანადო კომუნიკაციის დეფიციტი.[67]

რიგ შემთხვევებში, არასრულწლოვნისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთას ადგილი ჰქონდა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, თუმცა საქმის მასალებში არ იკვეთება სკოლის ან მანდატურის სამსახურის მხრიდან პოლიციისათვის შეტყობინების დამადასტურებელი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2020-2022 (იანვარი-ივნისი) წლებში, არასრულწლოვნის ქორწინების შემთხვევების სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაუმისამართებლობის გამო, რესურსცენტრებმა სამართალდარღვევის ოქმი ოთხი სკოლის ბავშვთა დაცვის მიმართვიანობაზე (რეფერირებაზე) პასუხისმგებელი პირის მიმართ შეადგინეს.[68]

დანაშაულის გამოვლენისა და შეუტყობინებლობის პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით[69] გათვალისწინებულ დანაშაულებზე. კერძოდ, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანი გოგო თვეების განმავლობაში იმყოფებოდა აღრიცხვაზე სამედიცინო დაწესებულებაში, თუმცა სამართალდამცავ ორგანოებს ინფორმაცია მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ მიეწოდათ.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, რომელზეც გამოძიება არასრულწლოვანი გოგოს დედის განცხადების საფუძველზე დაიწყო, შვილის მიმართ დედამთილის მხრიდან შესაძლო ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე, გამოძიების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ 15 წლის არასრულწლოვანი იყო ფაქტობრივ თანაცხოვრებაში, რომლის შესახებაც ცნობილი უნდა ყოფილიყო საავადმყოფოს ორი ექიმისთვის - გინეკოლოგებისთვის, რომლებსაც ამის თაობაზე არ შეუტყობინებიათ სამართალდამცავი ორგანოებისთვის. დაზარალებულის განმარტებით, გინეკოლოგებმა მას ისიც კი ურჩიეს,

66 სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლისას არ ჩანდა სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე შეატყობინეს თუ არა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, რომლის ვალდებულებაც, ასევე კანონით არის დადგენილი.

67 მაგალითად, ზოგჯერ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას სთხოვს სახალხო დამცველის აპარატს და არა შინაგან საქმეთა სამინისტროს. საქმე # N402/20.

68 სამ პასუხისმგებელ პირს ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება, ერთს - სიტყვიერი შენიშვნა. გარდა ამისა, არასრულწლოვნის ქორწინების შემთხვევის გადაუმისამართებლობის გამო, ერთ-ერთ საჯარო სკოლას სასამართლომ 100 ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრა. ასევე, 2022 წელს, ერთ შემთხვევაში, ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების დარღვევისათვის, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ, მანდატურის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. სასამართლომ მანდატური სამართალდამრღვევად ცნო და გაფრთხილება განუსაზღვრა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 20 სექტემბერის #MES 1 22 0001124329 წერილი.

69 სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში.

თუ როგორ დაეცვა თავი ორსულობისგან, ვინაიდან 15 წლის იყო და მშობიარობა გაუჭირდებოდა. ექიმებმა გამოკითხვის დროს განმარტეს, რომ მათთან დაზარალებული მისული იყო მენსტრუაციული ციკლის დარღვევის გამო და არ იცოდნენ, რომ მას, შესაძლოა, სქესობრივი კავშირი ჰქონოდა.

ექიმების მხრიდან შესაძლო დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას ცალკე წარმოებად გამოეყო საქმე.[70]

დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ გამოძიება უმეტესად შეტყობინების მიღების დღესვე იწყებოდა. ასევე, გამოძიებას ძირითადად (85%) ენიჭებოდა სათანადო კვალიფიკაცია, რომელიც შეესაბამებოდა შეტყობინების შინაარსს. თუმცა აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში, იდენტური მოცემულობისა და შინაარსის საქმეებზე, შეტყობინებებზე, ზოგიერთ ტერიტორიულ ერთეულში, სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გამოძიების დაწყებისას, სამართალდამცავი ორგანოები, ქმედების კვალიფიკაციისას მე-11 პრიმა მუხლს არაერთგვაროვნად იყენებდნენ - ზოგჯერ გამოძიება იწყებოდა მხოლოდ 140-ე მუხლით, მე-11 პრიმა მუხლის მითითების გარეშე, ხოლო რიგ შემთხვევებში - მე-11 პრიმა მუხლთან ერთად, რაც ყოველთვის არ იყენებდნენერთიანი სტანდარტის არარსებობაზე მიუთითებს.

საქმეთა შესწავლისას, გაირკვა, რომ ერთ საქმეში, გამოძიების მიმდინარეობისას გამოვლინდა საქმისთვის კვალიფიკაციის შეცვლის საჭიროება, თუმცა შესაბამისი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, კვალიფიკაცია მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ეტაპზე შეიცვალა.[71]

შესწავლილი საქმეებიდან, დანაშაულის ჯგუფურად, რამდენიმე პირის მიერ ჩადენა მხოლოდ ქორწინების იძულების მიზნით არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევებისთვის არის დამახასიათებელი. ამასთანავე, ჯგუფის სხვა წევრები უმეტესად სავარაუდო დამნაშავის ნათესავები (მათ შორის, დედა, ბიცოლა ან ოჯახის სხვა წევრები) ან მეგობრები არიან. ამ დანაშაულში მონაწილე ქალების „ძირითადი როლი“ კი, არასრულწლოვან დაზარალებულზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა და მისი დარწმუნებაა, რომ არ მიმართოს პოლიციას. **მაგალითად, „მეც შენსავით გავთხოვდი“, „ხომ იცი, ეს ჩვენი ტრადიციაა, ახლა არ გიყვარს, თუმცა შემდეგ შეგიყვარდება“, „ახლა უკვე ვერაფერს შეცვლი, უკვე მოტაცებული ხარ, ხომ იცი რა გელოდება, თუ არ დარჩები“ და სხვ.**[72]

საქმეთა შესწავლამ გამოავლინა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, სადაც იკვეთება დანაშაულის შეუტყობინებლობის ან/და თვეების დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევები, იმ პირთა მხრიდან, ვინც ნამდვილად იცოდა, რომ ჩადენილი იყო მძიმე დანაშაული. დადებითად უნდა შეფასდეს ის შემთხვევები, სადაც საქართველოს პროკურატურამ ამ ფაქტებზე გამოძიება ცალკე, დამოუკიდებელ წარმოებად გამოყო.[73] ასევე იკვეთება შესაძლო დანაშაულის შეუტყობინებლობის[74] ან გამოძიებისთვის შესაძლო ცრუ ჩვენების[75] მიცემის შემთხვევები, თუმცა შესწავლილი საქმის მასალებით, არ დგინდებოდა, გამოიყო თუ არა აღნიშნული ეპიზოდი ცალკე წარმოებად, ან დაიწყო თუ არა ახალ საქმეზე გამოძიება. მოცემულ გარემოებაზე, ერთ-ერთი განაჩენის დასაბუთების ნაწილში

70 იხ. სისხლის სამართლის საქმე #018161120001. საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით აღნიშნულ საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

71 იხ. სისხლის სამართლის საქმე #021300921001.

72 4 შემთხვევაში გამოიკვეთა ქალების მონაწილეობა არასრულწლოვნისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმეში. აქედან, 2 საქმეში პასუხისმგებლობა დადგა თავისუფლების უკანონო აღკვეთის ამსრულებლობისთვის, ხოლო 2 საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, თუმცა უცნობია, თუ რა შედეგი დადგა.

73 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #018161120001, #100290921001, #021250720002.

74 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #016241020001, #171120321006, #045160621002, #021090221002. ექიმებმა და სამედიცინო დაწესებულებებმა დაახლოებით 4-7 თვით ადრე იცოდნენ, რომ სავარაუდო დანაშაული იყო ჩადენილი, თუმცა ან საერთოდ არ შეატყობინეს სამართალდამცავ ორგანოებს ან ინფორმაცია მიაწოდეს მხოლოდ არასრულწლოვნის მშობიარობის შემდეგ.

75 ამ საქმეში პირმა მეორე გამოკითხვის დროს აღიარა გამოძიებისთვის საწყის ეტაპზე ცრუ ინფორმაციის მიწოდება და აღნიშნა, რომ თავდაპირველად იმიტომ არ მიუთითა არასრულწლოვნის ნიშნობის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის დანაშაული ეგონა. იხ. სისხლის სამართლის საქმე: #176280221001.

ყურადღება გაამახვილა მოსამართლემაც.[76]

პროკურატურის ინფორმაციით, არასრულწლოვანთან ქორწინების მოტივით ჩადენილი დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა 2020 წელს დაიწყო 2 პირის მიმართ[77], ხოლო 2021 და 2022 (6 თვე) წლებში, ამ მოტივით, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ფაქტები არ იკვეთება.[78]

აღსანიშნავია, რომ ქორწინების იძულების დანაშაულის ჩადენა ხშირად დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ ან/და ფიზიკურ ძალადობასთან. საქმეთა შესწავლისას, ასევე გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ქორწინების იძულებასთან ერთად, პირს ბრალი დაედო ოჯახში ძალადობის ჩადენაშიც.[79] ეს იმაზე მიუთითებს, რომ ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან ერთად, არასრულწლოვანი, ოჯახის წევრების მხრიდან სხვადასხვა ფორმის ძალადობასაც ექვემდებარება.

1.2 ბავშვის გამოკითხვა და შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობა

არასრულწლოვანთა გამოკითხვის ოქმების შესწავლისა და შეფასებისას რამდენიმე გარემოებაზე გამახვილდა ყურადღება: რამდენად სრულყოფილი და ამომწურავი იყო პირველივე გამოკითხვა, გამომძიებლის მიერ დასმული შეკითხვები იყო თუ არა გადმოცემული სათანადო ტერმინოლოგიითა და ბავშვისათვის აღსაქმელი ლექსიკით, ხომ არ იყო დასმული დისკრიმინაციული ან/და სტერეოტიპული კითხვები, რამდენჯერ გამოიკითხა არასრულწლოვანი და განმეორებითი გამოკითხვის აუცილებლობა იყო თუ არა სათანადოდ დასაბუთებული და გამართლებული, ასევე, უზრუნველყო თუ არა გამოძიებამ საქმეში სათანადო სპეციალისტების ჩართულობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის გამოკითხვის დროს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამომძიებლის მიერ დასმული შეკითხვები ხშირად შაბლონურია და არასრულწლოვნისთვის რთულად გასაგებ ენაზეა ფორმულირებული. ამასთანავე, ერთი შეკითხვა ხშირად რამდენიმე დამოუკიდებელ კითხვას აერთიანებდა, ზოგიერთი კითხვა კი, სრულიად აცდენილი იყო მოცემულობას და მისი დასმის მიზანი გაუგებარია. **მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, არასრულწლოვანს, რომელიც არ ყოფილა დაქორწინებული და ბებიის მხრიდან შესაძლო ქორწინების იძულებაზე საუბრობდა, ჰკითხეს, მეუღლის მხრიდან თუ გამხდარა ძალადობის მსხვერპლი.**[80]

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, არასრულწლოვანთან კომუნიკაციის დამყარების კარგი მაგალითია შემთხვევა, როდესაც გამომძიებელმა გამოკითხვის დაწყებამდე გაარკვია, რამდენად ესმოდა დაზარალებულს ტერმინები (სქესი, სქესობრივი კავშირი) და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო მომხდართან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია.[81]

არასრულწლოვანთა გამოკითხვის ოქმების შესწავლისას გამოიკვეთა დისკრიმინაციული, საქმისათვის არარელევანტური, გენდერულად არასენსიტიური და სტერეოტიპული შეკითხვების დასმის პრაქტიკა, რაც არ უკავშირდებოდა ჩადენილ დანაშაულს და ხელს უწყობდა მსხვერპლის მეორეულ ვიქტიმიზაციას. კერძოდ, რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეში გამოიკვეთა არასრულწლოვნებისთვის შემდეგი შინაარსის კითხვების დასმის ტენდენცია: **„იყავით თუ არა ქალიშვილი?", „აქამდე გქონიათ თუ არა სქესობრივი კავშირი ვინმესთან?", „თანახმა ხართ ჩაგიტარდეთ ექსპერტიზა საქალწულე აპკის მთლიანობის დადგენის მიზნით?", „იყო თუ არა „X" თქვენი პირველი მამაკაცი?", „გყავდათ თუ არა სხვა პარტნიორი იქამდე?", „რამდენჯერ გქონდათ სქესობრივი კავშირი?"** და სხვ.[82]

ამ სახის კითხვების დასმას, ძირითადად,

76 ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის განაჩენი #1/322-20.

77 ერთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 140-ე მუხლის შეუტყობინებლობის ფაქტზე, ხოლო ერთი პირის მიმართ - სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე.

78 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 7 ოქტომბრის #13/63660.

79 იხ. სისხლის სამართლის საქმე #015090720001.

80 იხ. სისხლის სამართლის საქმე #021110421001.

81 იხ. სისხლის სამართლის საქმე #100290121001.

82 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #017031120004; #052070421001; #023240521007; #035060521001; #032020320002; #031270720002; #033050220001.

არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტის დადასტურების საფუძვლით ამართლებენ. თუმცა, სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან ამ საკითხის ასე სიღრმისეულად გამოკვლევის მიზანშეწონილობის განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები, რომ, ერთი მხრივ, სქესობრივი კავშირის დამყარება ყველა შემთხვევაში არ იწვევს საქალწულე აპკის მთლიანობის დარღვევას (ამას ადასტურებს შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეებში არსებული ექსპერტიზის დასკვნებიც), და მეორე მხრივ, საქალწულე აპკის მთლიანობის დარღვევა, აუცილებლად სქესობრივი კავშირის დამყარებასთან, შესაძლოა, არ იყოს დაკავშირებული. შესაბამისად, კითხვა - „იყავით თუ არა ქალიშვილი?“ და მასზე მიღებული პასუხი არ უნდა გახდეს საქმეზე შემდგომი გადაწყვეტილების მიღების განმსაზღვრელი ფაქტორი. ასევე, გამოკითხვის დროს ხშირად ისმებოდა კითხვა - „რამდენჯერ გქონდათ სქესობრივი კავშირი?“, თუმცა, ვინაიდან ეს საკითხი არ მიიღებოდა მხედველობაში კვალიფიკაციის განსაზღვრისას და ქმედებები მხოლოდ ერთ ეპიზოდად ფასდებოდა, ამგვარი კითხვის დასმა გაუმართლებელი და არარელევანტური იყო.

შეიმჩნევა გამოკითხვის მიმდინარეობისას, არასრულწლოვნისთვის ან/და მისი მშობლისთვის, სავარაუდო დამნაშავისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების გაწევასთან დაკავშირებით პოზიციის გამოხატვის თხოვნის ტენდენცია, რაც არ არის საქმისთვის მნიშვნელოვანი და ქმნის დაზარალებულზე დამნაშავის დასჯის პასუხისმგებლობის გადატანის რისკებს.[83] ამგვარი კითხვის დასმა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ დამნაშავის დასჯა დაზარალებულის საჩივარზეა დამოკიდებული.

არასრულწლოვნის გამოკითხვის ოქმები, უმეტესწილად, იწერება არა პირველ პირში, არამედ გამომძიებლების სიტყვებითა და იურიდიული ტერმინების გამოყენებით. შესაბამისად, გამოკითხვის ოქმში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის მსხვერპლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ავთენტური. ამაზე მეტყველებს ისეთი იურიდიული ტერმინებისა და სიტყვების გამოყენება, რომლებიც არ შეიძლება იცოდეს არასრულწლოვანმა. მაგალითად, ერთ-ერთი 15 წლის არასრულწლოვნის გამოკითხვის ოქმში გამოყენებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა „საქალწულე აპკის მთლიანობის დარღვევა“, „სქესობრივი აქტი“, „სქესობრივი კავშირის დამყარება ტრადიციული გზით“ და სხვ.[84]

არასრულწლოვნის გამოკითხვისას გამოიკვეთა დაზარალებულის ახლობლებთან „დაპირისპირების“ და ისეთი კითხვების დასმის რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც მის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებდა. **მაგალითად, „დედათქვენის განმარტებით, თქვენ ნებაყოფლობით გაჰყევით X-ს, ასევე, ის პირველივე დღეს მოვიდა თქვენთან თქვენს წასაყვანად, თქვენ კი არ გაჰყევით, რას იტყვით აღნიშნულთან დაკავშირებით?“**[85]

ასევე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დაზარალებული თხრობით რეჟიმში გადმოსცემდა მომხდარს, თუმცა გამომძიებელი დამატებით კითხვებს სვამდა იმ საკითხებზე, რაზეც დაზარალებულმა უკვე ისაუბრა. **მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, დაზარალებულს, რომელმაც დეტალურად აღწერა გაუპატიურების პროცესი, გამომძიებელი დამატებით უსვამდა კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოიმოქმედა ბრალდებულმა, გაუწია თუ არა დაზარალებულმა წინააღმდეგობა, რაში გამოიხატა ეს წინააღმდეგობა და სხვა, რაც დაზარალებულს უკვე ჰქონდა აღწერილი.**[86]

არასრულწლოვანი გოგოები გამოკითხვისას ასევე უთითებდნენ გარემოებებზე, რომლებშიც ჩანდა მათი განცდები და წუხილები ქორწინების იძულებისა და მოტაცების პრაქტიკასთან დაკავშირებით.

ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია შესაბამისი მაგალითები:

83 იხ. სისხლის სამართლის საქმე #044090920004, #031101120002.

84 იხ. სისხლის სამართლის საქმე #033050220001; #100290921001; #023240521007; #017031120004.

85 იხ. სისხლის სამართლის საქმე #031270720002.

86 იხ. სისხლის სამართლის საქმე #031270720002.

საკუთარი სახლის ეზოდან გატაცებული 15 წლის დაზარალებული გამოკითხვის ოქმში განმარტავს: **„გთხოვთ, დამიცავით მე და ჩემნაირი გოგონები ასეთი ძალადობისგან და გათხოვების დაძალებისგან, რადგან ჩვენც ადამიანები ვართ და გვაქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, მე არ ვარ ნივთი, რომელსაც მაშინ აიღებენ და წაათრევენ, როცა მოუნდებათ და თან დასცინებენ იმის გამო, რომ შეძლო ხმის ამოღება და თავის დაცვა“.**

კიდევ ერთ საქმეში, გატაცებული არასრულწლოვნის 7 წლის ძმა, რომელიც შეესწრო დის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტს, ჩვენებაში განმარტავს: **„როცა დიდი გავიზრდები, ძალიან მაგარი ვიქნები და ჩემს დას დავიცავ, რომ არავინ წაიყვანოს და სცემოს. გუშინ რომ ძალით წაიყვანეს, მე ძალიან შემეშინდა და ძალიან შემეცოდა, რომ მას ვერ მივეხმარე“.**

კიდევ ერთი დაზარალებული არასრულწლოვნის ჩვენებაში ვკითხულობთ: **„მინდა სოფელში შეიცვალოს მიდგომები, გოგოებს არ ეკითხებოდნენ როდის თხოვდებიან და არ ხდებოდეს მათი მოტაცება სკოლის მერხებიდან“.**

სავარაუდო დაზარალებული არასრულწლოვნის გამოკითხვას უმეტესად (55%) იმავე სქესის, ქალი გამომძიებელი ატარებდა, თუმცა იყო შემთხვევებიც, როდესაც გამოკითხვას საპირისპირო სქესის გამომძიებელი უძღვებოდა.[87] ასევე, იყო შემთხვევა, როდესაც გაუპატიურების მცდელობის საქმეზე არასრულწლოვანი გოგოს გამოკითხვას კაცი თარჯიმანი ესწრებოდა.[88]

ბავშვი უმეტესად ერთხელ (41 შემთხვევაში) ან ორჯერ (29 შემთხვევა) იკითხებოდა, თუმცა იყო არასრულწლოვნის სამჯერ (4 შემთხვევაში) გამოკითხვის შემთხვევებიც.[89] არასრულწლოვნის განმეორებით გამოკითხვის მიზანი, ძირითადად, დაზარალებულად ცნობის შემდგომ მისი პოზიციის დაფიქსირება იყო.[90] შეუსაბამოდ მცირე დროში ჩატარებული დამატებითი გამოკითხვები, (მაგალითად, 30 წუთი) ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ინფორმაცია დაზარალებულის წინა ჩვენებიდან იყო გადმოტანილი,[91] რადგანაც გამოკითხვის მოცულობის გათვალისწინებით, გონივრული არ იყო დრო, რაც ამ გამოკითხვისთვის იყო დათმობილი.[92]

არასრულწლოვნის გამოკითხვა, უმეტესად 1 საათამდე ან 1-დან 2 საათამდე გრძელდებოდა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც გამოკითხვის პროცესმა 2-დან 4 საათამდეც კი გასტანა.[93] ზოგიერთ შემთხვევაში, ბავშვის გამოკითხვა სამ საათს ან მეტხანს გაგრძელდა ისე, რომ შესვენება არ გამოცხადებულა.[94] ამასთანავე, გვხვდება შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის მეორედ გამოკითხვის პროცესი ზედმეტად ხანმოკლე იყო და მხოლოდ 30 წუთი გაგრძელდა.[95]

არასრულწლოვნის გამოკითხვას, უმეტესად ესწრებოდა საპროცესო წარმომადგენელი, კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკი (31 შემთხვევა) ან სხვა სანდო პირი (მასწავლებელი, მამიდა, ბიცოლა, ოჯახის სხვა ახლობელი).

გამომძიებლის გადაწყვეტილება საპრო-

87 შესაძლოა, მსხვერპლის მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი იყოს გამომძიებლის სქესიც. ქალები ხშირად თავს არაკომფორტულად გრძნობენ კაც პოლიციელებთან. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს საქმეში შესაბამისი სქესის გამომძიებლისა და პროკურორის ჩართვას. ეს დაზარალებულს გაუადვილებს ამ პირებთან კომუნიკაციას, რაც უზრუნველყოფს სამართალწარმოებაში მათ მონაწილეობას დამატებითი სტრესის გარეშე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო დაზარალებული არის ქალი, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საქმეში ქალი გამომძიებლისა და პროკურორის ჩართვას), იხ. სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო (გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის), ავტორთა კოლექტივი, 2021, 49-50, https://bit.ly/3PvflqS [14.12.2022].

88 იხ. სისხლის სამართლის საქმე #033050220001.

89 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #027140521003; #040280721001; #021250720002; #033050220001.

90 კერძოდ, მეორე გამოკითხვა არ იძლეოდა სხვა რაიმე დამატებით ინფორმაციას და პირველი გამოკითხვისგან განსხვავდებოდა მხოლოდ იმით, რომ გამოკითხვის ბოლოს არასრულწლოვანი აფიქსირებდა პოზიციას დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით.

91 იხ. სისხლის სამართლის საქმე #040280721001.

92 იმ საქმეებში, სადაც სამჯერ გამოიკითხა დაზარალებული, მეორე გამოკითხვის დროს არასრულწლოვანი დამატებით ინფორმაციას აწვდიდა გამოძიებას, აზუსტებდა ფაქტობრივ გარემოებებს ან აღნიშნული გამოკითხვა განპირობებული იყო იმით, რომ წინა გამოკითხვის დასრულება ვერ მოესწრო 22:00 საათის შესრულების გამო, ხოლო მესამე გამოკითხვა მიბმული იყო დაზარალებულად ცნობის საკითხთან და პირველი და მეორე გამოკითხვისას მიცემულ ინფორმაციას იმეორებდა ან ადასტურებდა.

93 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #021250720002; #033050220001; #173310521001; #100290921001; #031270720002.

94 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #173310521001; #100290121001; #021250720002.

95 მაშინ როდესაც გამოკითხვისას მიღებული ინფორმაცია საკმაოდ მოცულობითი იყო (3 სრული გვერდი) და საქმეში მონაწილეობდა თარჯიმანიც. იხ. სისხლის სამართლის საქმე #031270720002.

ცესო წარმომადგენლის დანიშვნის საჭიროების შესახებ, უმეტესად არ არის სათანადოდ დასაბუთებული. დადგენილებაში, კანონის ნორმები ძირითადად შაბლონურად და ფორმალურად მიეთითება, შესაბამისი არგუმენტაციისა და დასაბუთების გარეშე ან მხოლოდ ზოგადი და ნაწილობრივი მსჯელობაა საქმეში კანონიერი წარმომადგენლის მოწვევის შეუძლებლობის თაობაზე.[96] ასევე, გამოვლინდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც ბავშვის გამოკითხვის პროცესზე მისი კანონიერი წარმომადგენლის დასწრება ეწინააღმდეგებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, ან დაზარალებულზე ზეგავლენის რისკების გამო, საჭირო იყო საპროცესო წარმომადგენლის მოწვევა.[97]

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ქორწინების მიზნით, სრულწლოვანის მიერ 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარებას ეხებოდა, არასრულწლოვნის გამოკითხვას ესწრებოდა მისი დედა, რომელიც თავადვე უწყობდა ხელს შვილის ადრეულ ასაკში ქორწინებას (დაზარალებულის განმარტებით, მისი და კაცის მშობლები შეხვდნენ ერთმანეთს და შეთანხმდნენ დაოჯახებაზე).[98]

დაბალია საქმეებში ფსიქოლოგის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორისა და ადვოკატის მონაწილეობა. 74 საქმიდან, 7 შემთხვევაში[99] ესწრებოდა არასრულწლოვნის გამოკითხვას ფსიქოლოგი, ხოლო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი 3 საქმეში მონაწილეობდა.[100] ასევე, ქორწინების იძულების არცერთ საქმეში არ ყოფილა ჩართული არც ფსიქოლოგი და არც მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი. საქმეთა 10%-ში ჰყავდა დაზარალებულად ცნობამდე არასრულწლოვანს ადვოკატი.[101]

საქმის მასალების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ უმეტესად არ ხდება არასრულწლოვნის ინფორმირება სახელმწიფო სერვისების შესახებ. საქმეების მხოლოდ 15%-ში შეეთავაზა არასრულწლოვანს ადვოკატით ან თავშესაფრით სარგებლობის უფლება, დანარჩენ შემთხვევებში კი, საქმის მასალებიდან არ ჩანდა, რომ ამ სერვისების შესახებ დაზარალებულს მიეწოდა ინფორმაცია.[102]

1.3 გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვლევა

ჩადენილი დანაშაულების გენდერული ბუნებისა და საქმეში გენდერული მოტივის მიმანიშნებელი ფაქტორების (დანაშაულის ბუნება, მსხვერპლის/მოწმის აღქმა, დანაშაულის ჩადენის ხერხი, ბრალდებულის კომენტარები და სხვ.) მიუხედავად, გამოძიების წარმოებისას სათანადოდ და სრულყოფილად არ ყოფილა გამოკვლეული შესაბამისი გარემოებები გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოსარიცხად ან დასადასტურებლად.

აღსანიშნავია, რომ შესწავლილ საქმეებში ხშირად იკვეთებოდა გენდერული მოტივი - დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის კონფლიქტს საფუძვლად ედო ქალის მიერ პატრიარქალურ საზოგადოებაში მისთვის დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა (მაგალითად, დაზარალებულმა არ იცოდა სახლის საქმეების კეთება). ასევე, ერთ-ერთ საქმეში ძალადობის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ბრალდებულმა ეჭვი შეიტანა დაზარალებულის ქალიშვილობაში.

არასრულწლოვანთა გამოკითხვების უმრავლესობა არ შეიცავდა შეკითხვებს დანაშაულის ჩადენის მოტივთან დაკავშირებით.

96 მაგალითად, „არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლების ჩართვასთან დაკავშირებით არსებობდა მიკერძოების ეჭვი, რის გამოც აუცილებელი იყო საპროცესო წარმომადგენლის ჩართვა“.

97 იხ. სისხლის სამართლის საქმე #041071020008.

98 იხ. სისხლის სამართლის საქმე #035060521001.

99 სსკ-ის 140-ე მუხლი, სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში - 4 შემთხვევა; სსკ-ის 143-ე მუხლი, თავისუფლების უკანონო აღკვეთა - 3 შემთხვევა.

100 შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ჩართული იყო 2 საქმეში, ხოლო გენერალური პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი - 1 საქმეში.

101 ადვოკატის ჩართულობის შესახებ მონაცემები დათვლილია იმ საქმეებიდან, სადაც არასრულწლოვან დაზარალებულს გამოძიების საწყის ეტაპზევე ჰყავდა ადვოკატი და არა დაზარალებულად ცნობის შემდეგ, როდესაც უკვე სავალდებულოა საქმეში ადვოკატის მონაწილეობა. დაზარალებულად ცნობის შემდეგ, არასრულწლოვანს ყველა შემთხვევაში დაენიშნა ადვოკატი. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს უფლება აქვს ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით.

102 საქმის მასალებში არ ფიქსირდებოდა შესაბამისი ოქმი სავარაუდო დაზარალებული არასრულწლოვნისათვის ადვოკატის ან სახელმწიფო სერვისების შეთავაზების შესახებ.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვნები საუბრობდნენ გენდერული მოტივის მიმანიშნებელ გარემოებებზე (რა უძღოდა წინ დანაშაულის ჩადენას, რის საფუძველზე ხდებოდა მოტაცება, რა განაპირობებდა ბრალდებულის ქმედებას და სხვ.), ეს კომპონენტი გამომძიებლის ყურადღების მიღმა რჩებოდა.

ასევე, საქმეში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებების მიუხედავად, ბრალდების შესახებ დადგენილებაში არ გვხვდება მსჯელობა ამის თაობაზე.

მოცემული საქმეების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ თორმეტ (სსკ-ის 140-ე მუხლი - 3 საქმე, სსკ-ის 143-ე მუხლი - 6, სსკ-ის 1501-ე მუხლი - 3) შემთხვევაში, რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ნათლად იკვეთებოდა დანაშაულის ჩადენის შესაძლო გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილ სისხლის სამართლის საქმეებში არსებული მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები (მათ შორის, ბრალდებულის ჩვენება, სადაც ის საუბრობდა როგორც მოტივზე, ისე იმ გარემოებაზე, რომ მისი მოქმედება ტრადიციებით იყო განპირობებული) უთითებდნენ დანაშაულის გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე, მოცემულ საქმეთა ბრალდების შესახებ დადგენილებების უმეტესობაში (10 საქმე) ამის შესახებ მითითებული არ ყოფილა.[103]

39 სისხლის სამართლის საქმიდან, რომლებზეც დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, მხოლოდ 2 შემთხვევაში იყო ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული გენდერული დისკრიმინაციის მოტივის თაობაზე. აქედან, ერთი საქმე ეხებოდა ქორწინების იძულებას, ხოლო მეორე - გაუპატიურებას.[104]

მაგალითად, ქორწინების იძულების ერთ-ერთ საქმეში დაზარალებული განმარტავდა: „დედაჩემი იმიტომ მცემდა, რომ არ ვაკეთებდი საოჯახო საქმეებს, არ ვალაგებდი და ვრეცხავდი კარგად...მაიძულებდა ცოლად გავყოლოდი... ოჯახის შექმნას მაიძულებდა... ამბობდა, რომ ... იყო კარგი ბიჭი და მოსწონდა სასიძოდ". ამ საქმეზე პროკურორი ბრალდების შესახებ დადგენილებაში მიუთითებდა, რომ: „სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე, მათ შორის საოჯახო საქმეების არ შესრულებისა და ქ.კ.-ზე ქორწინების იძულების გამო წარმოშობილი ოჯახური კონფლიქტისას.." გამოძიების ფარგლებში გამოვლენილი გარემოებებისა და პროკურორის მიერ ამგვარი მსჯელობის მიუხედავად, რომელიც აშკარად მეტყველებს გენდერული დისკრიმინაციის მოტივზე, ბრალდების შესახებ დადგენილებაში ამის შესახებ მითითებული არ ყოფილა.[105]

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გენდერული დისკრიმინაციის მოტივზე, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე მსჯელობა არც იმ საქმეებში გვხვდება, რომელშიც, არაოჯახის წევრებს შორის სწორედ გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობაზე დაყრდნობით, შემაკავებელი ორდერი იყო გამოცემული.[106]

ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტების გენდერული ბუნების მიუხედავად, გენდერული დისკრიმინაციის მოტივზე არცერთი საქმის ბრალდების შესახებ დადგენილებაში არ ყოფილა მითითებული.

1.4 არასრულწლოვნის დაცვა შესაძლო ზეწოლისგან

გამოძიების ჩატარების პარალელურად, მნიშვნელოვანია დაზარალებული არასრულწლოვნის დაცვა შესაძლო ზეწოლისგან და ამ მიზნით, სათანადო გარემოში გადაყვანის უზრუნველყოფა. ამ საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია უპირატესობა მიენიჭოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და ის ისეთ გარემოში განთავსდეს, სადაც დაცული იქნება მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანზე ზემოქმედების მაღალი რისკების მიუხედავად, იგი არ გადაუყვანიათ თავშესაფარში ან სხვა ნეიტრალურ გარემოში.

103იხ. სისხლის სამართლის საქმე #021070121002; #030211220002; #033050220001; #031270720002; #021250720002; #004140420001; #004250621012; #015090720001; #021110421001; #173310521001.

104 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #100290121001; #033291021001.

105 იხ. სისხლის სამართლის საქმე #015090720001.

106 იხ.სისხლის სამართლის საქმე #031270720002.

მაგალითად, ქორწინების იძულების მიზნით ჩადენილ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ერთ-ერთ საქმეზე, არასრულწლოვანზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ დედა და ბებია, რომლებიც ურჩევდნენ, რომ დარჩენილიყო გამტაცებელთან და ოჯახი შეექმნა (გამოძიების დროს ამოღებული მიმოწერებიდან ჩანს, თუ როგორ ცდილობდნენ დედა და ბებია არასრულწლოვანზე ზემოქმედებას, კერძოდ, თუ იგი პოლიციის მხარეს დადგებოდა და უკან დაბრუნდებოდა, ბებია თავს მოიკლავდა. გარდა ამისა, უკვე განათხოვრის სახელი ჰქონდა და აღარავის დასჭირდებოდა. ბებიისა და დედის განმარტებით, არასრულწლოვანი ნებაყოფლობით დაქორწინდა და ძალადობას ან იძულებას ადგილი არ ჰქონია). მართალია, ამ პირების მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერები, რომლითაც მათ დაევალათ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა და აეკრძალათ მასზე ფსიქოლოგიური ძალადობა, თუმცა არასრულწლოვანი ამ პირებისგან არ განუცალკევებიათ.[107] არასრულწლოვნის დედასა და ბებიასთან დატოვებას, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მასზე, შესაძლოა, გავლენა მოეხდინა დაზარალებულის პოზიციაზე - მიეღო თუ არა მონაწილეობა მართლმსაჯულებაში, მათ შორის, მიეცა თუ არა ჩვენება სასამართლოში, რაც მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ხშირი პრაქტიკაა.

ბავშვობის ასაკში ქორწინების, განსაკუთრებით, თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, როდესაც საკმაოდ მაღალი იყო დაზარალებულზე ზემოქმედების რისკები და იდენტიფიცირებადი იყო შესაბამის პირთა ვინაობა, უმეტესად არ გამოიცემოდა შემაკავებელი ორდერი, რომელიც მსხვერპლის ზეწოლისგან დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.[108]

სავარაუდოდ, დაზარალებულზე შესაძლო ზემოქმედების რისკების არასათანადოდ შეფასებით იყო განპირობებული არასრულწლოვნისა და მათი მშობლების მიერ პოზიციის შეცვლა, მათ შორის, უარის თქმა მართლმსაჯულებაში მონაწილეობის გაგრძელებაზე/ჩვენების მიცემაზე ან/და მათი ლოიალური დამოკიდებულება სავარაუდო დამნაშავეთა მიმართ. ამ მიზეზით, არასრულწლოვნები შეღავათების გამოყენებას ითხოვენ ბრალდებულების მიმართ (2 საქმე) ან უარს ამბობენ სასამართლოში ჩვენების მიცემაზე (1 საქმე). კერძოდ, გამოვლინდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც ქორწინების იძულების მიზნით, თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმეებზე დაზარალებულ არასრულწლოვანთან და მის მშობლებთან დგებოდა ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი ბრალდებულის მიმართ ე.წ. პრეტენზიის არქონის შესახებ, რომელშიც გამოხატავდნენ თანხმობას, რომ გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება.[109]

მაგალითად, ქორწინების იძულების მიზნით არასრულწლოვნისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ერთ-ერთ საქმეში, სადაც დაზარალებული პირველ გამოკითხვაში საუბრობდა მოტაცების ფაქტზე და ეს დასტურდებოდა კიდეც სხვა მოწმეთა ჩვენებებით, სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოადგინეს ნოტარიულად დამოწმებული განცხადება „პრეტენზიის არქონის" თაობაზე. მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მოწმის ჩვენების თანახმად, დასტურდებოდა არასრულწლოვნის მოტაცების ფაქტი („საპატრულო პოლიციამ გახსნა კარი, შევედით ბინაში, სადაც ვნახეთ ახალგაზრდა, დაახლოებით 17 წლის გოგო, რომელიც ჩაგვეხუტა და გვიხდიდა მადლობას გადარჩენისთვის, ის იყო შეშინებული, ის ტიროდა") და ამის შესახებ თავად არასრულწლოვანიც საუბრობდა, მოგვიანებით დაზარალებული ნოტარიულად დამოწმებულ დოკუმენტში უთითებდა: „მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მარტო ყოფნით და რ.-ზე (გამტაცებელი) ფიქრით უფრო მეტი ტკივილი მადგება. მე ვაპირებ მასთან ოჯახის შექმნას".[110] მსგავსი ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი გვხვდება სხვა საქმეებშიც.[111]

107 იხ. სისხლის სამართლის საქმე #031270720002.

108 მაგალითად, სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 21 საქმიდან, მხოლოდ 3 შემთხვევაში გამოიცა შემაკავებელი ორდერი.

109 იხ. სისხლის სამართლის საქმეები:#004250621012; #021250720002.

110 იხ. სისხლის სამართლის საქმე #004250621012.

111 იხ. სისხლის სამართლის საქმე #016241020001; #028090621001; #028050720001. აღნიშნული საქმეები ეხება სსკ-ის

1.5 სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება საქალწულე აპკის გამოსაკვლევად

პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ სისხლის სამართლის თითქმის ყველა იმ საქმეში, სადაც არასრულწლოვანი უთითებდა სქესობრივი კავშირის დამყარებაზე, ინიშნებოდა სამედიცინო ექსპერტიზა საქალწულე აპკის მთლიანობის დასადგენად (გამონაკლისი იყო საქმეები, სადაც არასრულწლოვანი გოგონა ორსულად იყო ან უკვე გააჩინა შვილი. ასევე, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ამგვარი ექსპერტიზა ინიშნებოდა, თუმცა არასრულწლოვანი უარს აცხადებდა მის ჩატარებაზე. სულ ექვს სისხლის სამართლის საქმეში განაცხადა უარი დაზარალებულმა საქალწულე აპკის მთლიანობის დასადგენი სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე).[112] 74 სისხლის სამართლის საქმიდან, 15 სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა სამედიცინო ექსპერტიზა საქალწულე აპკის მთლიანობის დასადგენად, საიდანაც 11 სისხლის სამართლის საქმე 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარებას შეეხებოდა,[113] ხოლო ოთხი - თავისუფლების უკანონო აღკვეთას.[114]

აღსანიშნავია, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთის 2 საქმეში, სადაც არ იკვეთებოდა სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტი და მასზე არც დაზარალებული მიუთითებდა, მაინც დაინიშნა ექსპერტიზა საქალწულე აპკის გამოსაკვლევად. აქედან, ერთ საქმეზე ჩატარდა ექსპერტიზა, ხოლო ერთ შემთხვევაში დაზარალებულმა უარი განაცხადა ექსპერტიზაში მონაწილეობაზე. ამის საპირისპიროდ, დადებითად უნდა შეფასდეს შემთხვევა, როდესაც სრულწლოვანის მიერ 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტზე, არ დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა საქალწულე აპკის მთლიანობის დასადგენად.[115]

პრაქტიკის თანახმად, საქალწულე აპკს იმის დასადასტურებლად იკვლევენ, ჰქონდა თუ არა გოგოს ვაგინალური სქესობრივი კავშირი. საქალწულე აპკის მდგომარეობის თაობაზე ექსპერტს უსვამდნენ კითხვებს: „დაზარალებულს აღენიშნება თუ არა სექსუალური ხასიათის შეღწევის ნიშნები?“ ან „აღენიშნება თუ არა დაზარალებულს სქესობრივი აქტისთვის დამახასიათებელი ნიშნები?”[116], ხოლო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული იყო, რომ სქესობრივი კავშირის ფაქტის დადგენა არ შედიოდა სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციაში.

ამასთანავე, გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საქალწულე აპკის მთლიანობა არ იყო დარღვეული. გამოკითხვისას ექსპერტი განმარტავდა, რომ მდებარეობიდან გამომდინარე, შეღწევის მიუხედავად, საქალწულე აპკის მთლიანობა ვერ დაირღვეოდა, რასაც მოსამართლეც იზიარებდა. თუმცა იმ შემთხვევაში, სადაც ექსპერტმა მიუთითა, რომ ვაგინალური შეღწევის შემთხვევაში საქალწულე აპკი აუცილებლად დაირღვეოდა, მოსამართლემ მის განმარტებაზე დაყრდნობით, პირი გაამართლა გაუპატიურების ბრალდებაში.

ერთ-ერთ საქმეში გამოიკვეთა სათანადო ექსპერტის მოძიების პრობლემა, ვინაიდან, გამოძიების ფარგლებში გართულდა იმ გინეკოლოგის მოძიება, რომელიც მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგენდა ბავშვის სავარაუდო ჩასახვის თარიღს.[117]

გარდა იმისა, რომ საქალწულე აპკის მთლიანობის დამდგენი ექსპერტიზის ჩატარება, ბავშვისთვის მომეტებულად ტრავმული პროცედურაა, ექსპერტიზის დასკვნამ, ასევე შესაძლებელია, რომ გამოძიებას არ მისცეს

140-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებს.

112 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #031101120002; #021300921001; #021171221002; #032020320002; #001251221001; #031100620002.

113 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #017031120004; #023251020003; #021200321001; #047220720002; #028090621001; #028050720001; #173310521001; #100290121001; #018161120001; #017180320001;#100060720001.

114 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #021250720002; #03127072002; #033050220001; #030211220002.

115 იხ. სისხლის სამართლის საქმე #041050221004.

116 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #173310521001; #030211220002; #100290121001.

117 იხ. სისხლის სამართლის საქმე #017180320001; მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე პრობლემა წარმოიშვა სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის მოძიებასთან დაკავშირებით, რასაც თვეები დასჭირდა, შესაბამისად, ამ მიზეზით, დროულად ვერ ჩატარდა ექსპერტიზა. ფაქტობრივად, დანაშაულის არარსებობის საფუძვლით გამოძიების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება რამდენიმე თვით დაგვიანდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მოხდა ექსპერტის დროულად მოძიება.

სწორი ინფორმაცია მომხდართან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანი გოგოებისთვის მსგავსი ექსპერტიზის უალტერნატივოდ ჩატარება და მხოლოდ საქალწულე აპკის მთლიანობის დარღვევაზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება და შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღება გოგოებისთვის დისკრიმინაციულ გარემოს ქმნის.

1.6 გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები

საქმეების შესწავლისას გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში, გამოძიება არ იყო ყოველმხრივი და ამომწურავი, არ იკითხებოდნენ მოწმეები, რომლებიც, შესაძლოა, ფლობდნენ მნიშვნელოვან ინფორმაციას საქმის გარემოებების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში არ გამოიკითხნენ მეჯვარეები,[118] კიდევ ორ საქმეში - სკოლის დირექტორები, რომლებიც იყვნენ შეტყობინების ინიციატორები.[119] ასევე, რამდენიმე შემთხვევაში ისე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომ არ გამოუკითხავთ არასრულწლოვნის მშობლები, ნათესავები და ის პირები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონოდათ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.[120]

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვნების საქმეთა თბილისის მთავარი სამმართველოს წარმოებაში არსებული საქმეები უფრო მაღალი ხარისხით არის გამოძიებული (საქმეთა უმეტესობაში, ჩატარებულია, ფაქტობრივად, ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება და ძირითად შემთხვევებში, შესწავლილია საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა დეტალი). ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს ცალკეული შემთხვევები, როდესაც გამოძიება სხვა ტერიტორიულ ერთეულში იწყება, მაგრამ ფაქტი უშუალოდ სხვაგან ხდება, თუმცა ის განყოფილება, რომელიც იწყებს გამოძიებას და ატარებს პირველად გადაუდებელ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს, იქვემდებარებს საქმეს და თავად განაგრძობს გამოძიებას.[121]

გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ადრეულ ასაკში ქორწინების საქმეებზე ორი დამოუკიდებელი გამოძიება ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა.[122] მაგალითისთვის, ერთ-ერთ საქმეზე გამოძიება საავადმყოფოს შეტყობინების საფუძველზე დაიწყო, როდესაც არასრულწლოვანს დაუდგინდა 3 კვირის ორსულობა. გამოძიება გრძელდებოდა თვეები, შემდგომ კი ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებით შესულ დამატებით შეტყობინებაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ახალი გამოძიება დაიწყო.[123] ფაქტობრივად, ასეთ შემთხვევებში ერთსა და იმავე საქმეზე, ორი დამოუკიდებელი გამოძიება მიმდინარეობდა და ორივეს ფარგლებში ხელახლა გამოიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, არასრულწლოვანი პირები.

გამოძიების შეწყვეტის მიზეზი ძირითადად იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი - დანაშაულის ნიშნების არარსებობა. მხოლოდ 6 შემთხვევაში შეწყდა გამოძიება სავარაუდო დამნაშავის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევლობის გამო. ასევე, 8 შემთხვევაში არასრულწლოვანი დაზარალებული უკვე 16 წლის ასაკს იყო მიღწეული, რის გამოც გამოირიცხა პასუხისმგებლობა სსკ-ის 140-ე მუხლით.

გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებები, რიგ შემთხვევებში, შაბლონურია, უფრო მეტად აქცენტს აკეთებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებსა და კანონის ნორმების ტექნიკურ მოშველიებაზე და ნაკლებად არის განვითარებული მსჯელობა ქმედების სამართლებრივ შეფასებაზე, კერძოდ, მწირია არგუმენტაცია იმის თაობაზე, თუ რატომ გამოირიცხება ამა თუ იმ დანაშაულის არსებობა მოცემულ საქმეში.[124]

ამის საპირისპიროდ, დადებითად უნდა შეფასდეს რამდენიმე დადგენილება (განსაკუთრებით, არასრულწლოვნების საქმეთა თბილისის სამმართველოს წარმოებაში არსებულ

118 იხ. სისხლის სამართლის საქმე: #041050221004.

119 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #047220720002; #0522100221001.

120 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #052070421001; #004140420001.

121 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #173310521001; #033050220001; #030211220002.

122 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #171160421008; #171010321005.

123 იხ. სისხლის სამართლის საქმე #027140521003.

124 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #069251021001; #069140721004; #041090521002; #032020320002; #016200921001; #017180320001; #176280221001.

საქმეებზე), რომლებშიც, მტკიცებულებებიც დეტალურად იყო შეფასებული და მსჯელობაც ქმედების სამართლებრივ და შინაარსობრივ მხარეზე, დასაბუთებულად იყო განვითარებული.[125]

2. საქმის სასამართლოში განხილვა

39 სისხლის სამართლის საქმის შესწავლის შედეგად შეფასდა ამ საქმეებზე სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოება, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და გამოყენებული სასჯელები.

2.1 განაჩენის დასაბუთებულობა

საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს ავალდებულებს მიღებული განაჩენის დასაბუთებას.[126] გარდა იმისა, რომ ეს კანონმდებლობის მოთხოვნაა, გადაწყვეტილების დასაბუთებას პრევენციული დანიშნულებაც აქვს. სწორედ განაჩენის დასაბუთება უზრუნველყოფს მსჯავრდებულისთვის იმ გარემოებების ახსნას, თუ რის გამო მოხდა მისი მსჯავრდება.

ადრეულ ასაკში ქორწინების საქმეებზე გადაწყვეტილებების უმეტესობა (29 საქმე) საპროცესო შეთანხმების სახით მიიღება.[127] საპროცესო შეთანხმების გაფორმების პრაქტიკა განსაკუთრებით მაღალია სრულწლოვნის მიერ 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულებზე.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები, ძირითადად შაბლონურია და აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ საპროცესო ნორმათა დაცულობის საკითხებზე, რაც ყველა გადაწყვეტილებისთვის სტანდარტულ ფორმას წარმოადგენს. ამასთანავე, განაჩენებში საერთაშორისო პრეცედენტული სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირება ხდება მხოლოდ საპროცესო შეთანხმების არსის ასახსნელად, რაც უფრო მეტად ფორმალურ ხასიათს ატარებს და ნაკლებად არის განპირობებული კონკრეტული საქმის გარემოებების დასაბუთების საჭიროებით. გარდა ამისა, არცერთ განაჩენში არ ყოფილა მსჯელობა განვითარებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე.

რაც შეეხება არსებითი განხილვით მიღებულ განაჩენებს (10 საქმე), ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ბუნების გათვალისწინებით, განაჩენის სათანადო დასაბუთებულობის საკითხი, მოცემულ შემთხვევაშიც, პრობლემურია. გადაწყვეტილებების მოცულობა, უმეტესად არ აღემატება რამდენიმე გვერდს და ისიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მნიშვნელობაზე მსჯელობას ეთმობა. მოსამართლეები განაჩენებში ხშირად იშველიებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, თუმცა სათანადოდ არ არის ახსნილი მათი რელევანტურობა, შესაბამისობა და მნიშვნელობა საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით.

განსაკუთრებული პრობლემურობითა და ხარვეზებით გამოირჩევა გაუპატიურების საქმეები. შესწავლილი 39 საქმიდან 4 შემთხვევაში სხვა დანაშაულებთან ერთად, პირს ბრალი ედებოდა გაუპატიურების ან გაუპატიურების მცდელობის ჩადენაში. თუმცა მოსამართლემ, 2 შემთხვევაში, გაუპატიურების ბრალდება გადააკვალიფიცირა დაზარალებულის თანხმობით ჩადენილ სქესობრივ დანაშაულზე, ხოლო ერთ შემთხვევაში, გაამართლა პირი გაუპატიურების ნაწილში. მოსამართლემ პირი დამნაშავედ მხოლოდ გაუპატიურების მცდელობაში ცნო.

ყველა იმ საქმეში, რომელშიც მოსამართლემ შეცვალა კვალიფიკაცია თანხმობით ჩადენილ სქესობრივ დანაშაულზე ან გაამართლა პირი გაუპატიურების ჩადენაში, მოსამართლე ავითარებს სტერეოტიპულ მსჯელობას დაზარალებულის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობაზე, რაც, მოსამართლის აზრით, არ დასტურდებოდა მოპოვებული მტკიცებულებებით ან ძირითადი დასკვნები ეყრდნობა საქალწულე აპკის შესამოწმებლად ჩატარებულ ექსპერტიზას ან ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის არასწორ შეფასებას.

მაგალითად, ერთ-ერთი საქმეში დაზარალებული არასრულწლოვანი უთითებდა,

125 იხ. სისხლის სამართლის საქმეები: #100060720001; #100080621005; #021171221002; #172040420001.

126 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლი.

127 საპროცესო შეთანხმების უმეტესობა (22 საქმე) ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე გაფორმდა.

რომ მოტაცების შემდეგ ერთ-ერთი პირის სახლში მიიყვანეს, სადაც უცხო ქალები დახვდნენ. დაზარალებულის თქმით, ის ყვირილით სთხოვდა ამ ქალებს დახმარებას, მაგრამ მათ უარი განუცხადეს და ბრალდებულთან ერთად ოთახში მარტო დატოვეს. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ოთახში მოთავსებულ საწოლზე ბრალდებულმა ძალით გახადა ტანსაცმელი არასრულწლოვანს და გააუპატიურა. ამ სახლში არასრულწლოვანი ორდღე ნახევარი იმყოფებოდა, გაქცევა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ეს ქმედებები ბრალდების მხარის მიერ დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და „დ" ქვეპუნქტებით[128] და 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით.[129]

ამ საქმეში მოსამართლემ მიიჩნია, რომ არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირი მისი თანხმობით დამყარდა და ამასთან ერთად, იგი არ იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში, მაშინ როდესაც ამავე მოსამართლემ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გოგოს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს. განაჩენის დასაბუთებისას მოსამართლემ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა დაზარალებულის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ წინააღმდეგობის გაწევას რეალურად უნდა ჰქონდეს ადგილი დაზარალებულის მხრიდან, მისი მოქმედებით ნათელი უნდა იყოს, რომ მას არ სურს ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის დამყარება. ასევე იმსჯელა, რომ, თუ დაზარალებულმა ნამდვილად გაუწია წინააღმდეგობა, ბრალდებულს უნდა მიეღო გარკვეული დაზიანებები, რომლებიც მას არ აღენიშნებოდა. „გაუპატიურებისას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მოძალადეს და ეწინააღმდეგებოდა იმდენი ხანი, სანამ ძალა არ გამოეცალა. თუმცა რაიმე სახის დაზიანება და უცილობელი ფაქტი, რომელიც დაარწმუნებდა სასამართლოს დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევაში, ბრალდებულს სხეულზე არ აღენიშნება ... მაგრამ სასამართლოს დანამდვილებით შეუძლია დაასკვნას, რომ მის სხეულზე დაზიანებების არარსებობა ბრალდებულის ქმედების კვალიფიკაციის ანალიზისას მის სასარგებლოდ უნდა შეფასდეს და არა საწინააღმდეგოდ".

„სასამართლო თვლის, რომ დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში ალბათობა იმისა, რომ ბრალდებულს სხეულზე რაიმე სახის დაზიანება (თუნდაც უმნიშვნელო) მიეღო, მაღალი იყო. ბუნებრივია, სასამართლოს ზუსტი და თანმიმდევრული სურათის აღდგენა არ შეუძლია და ასევე არ შეუძლია დანამდვილებით ამტკიცოს, მიიღებდა თუ არა დაზიანებებს სხეულზე ბრალდებული, მაგრამ სასამართლოს დანამდვილებით შეუძლია დაასკვნას, რომ მის სხეულზე დაზიანებების არარსებობა ბრალდებულის ქმედების კვალიფიკაციის ანალიზისას მის სასარგებლოდ უნდა შეფასდეს და არა საწინააღმდეგოდ".

გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დაზარალებულის ტანსაცმელზე[130] და განმარტა, რომ არ იყო დაზიანებული.

ასევე, სასამართლოს შეფასებით, ბრალდების მხარის პოზიცია არ იყო დამაჯერებელი, ვინაიდან დაზარალებული მიუთითებდა სხვა პირების პასუხისმგებლობაზეც, რომლებიც დაეხმარნენ ბრალდებულს დანაშაულის ჩადენაში, თუმცა „ბრალდების მხარეს არათუ იურიდიული შეფასება მოუხდენია, არამედ საერთოდ გამოძიება არ უწარმოებია, საქმეში არ მოიპოვება არც სისხლის სამართლის ცალკე, დამოუკიდებელ წარმოებად გამოყოფის დადგენილებაც. ბრალდების მხარის ეს პოზიცია მიუთითებს სასამართლოს მხოლოდ და მხოლოდ ერთ გარემოებაზე, რომ გაუპატიურების ნაწილში თავად ბრალდების მხარემ არ მიიღო სარწმუნოდ დაზარალებულის ჩვენების ნაწილი".[131] ამის გათვალისწინებით, გაუპატიურება სსკ-ის 140-ე მუხლზე გადაკვალიფიცირდა.

128 თავისუფლების უკანონო აღკვეთა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

129 გაუპატიურება, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

130 ბრალდების მხარის მტკიცებით, გაუპატიურებისას ბრალდებულმა ძალის გამოყენებით გახადა ტანსაცმელი დაზარალებულს, თუმცა სასამართლოს შეფასებით, ბრალდების მხარემ ტანსაცმლის დაზიანების მტკიცებულება ვერ წარმოადგინა.

131 ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის განაჩენი #1/322-20.

მოცემულ საქმეში, სრულიად არაარსებითი და სტერეოტიპული იყო მოსამართლის მხრიდან ყურადღების გამახვილება დაზარალებულის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევაზე, ნაცვლად იმისა, რომ განვითარებულიყო მსჯელობა დაზარალებულის ნების თავისუფლების ხარისხსა და მის უმწეო მდგომარეობაზე, რაც გამორიცხავდა სქესობრივ აქტზე არასრულწლოვნის ნამდვილ და თავისუფალ თანხმობას.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვნის თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და გაუპატიურებას, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: **„საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი გაანალიზების გზით სასამართლოს უნდა ემსჯელა არასრულწლოვანი დაზარალებულის ფიზიკური თუ ფსიქიკური უმწეობის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა მისი სისუსტე, დაღლილობა, შიმშილი, ასევე, მის გარშემო შექმნილი მდგომარეობა - მისთვის სრულიად უცხო ოჯახები და უცხო პირთა გარემოცვა, მათი „ზრუნვა" მოტაცებული გოგოსადმი. დაზარალებულის ემოციური დატვირთვა მასთან მიმართებით განხორციელებულ მოულოდნელობებთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებენ არასრულწლოვანი გოგოს უიმედო მდგომარეობაზე და, ყოველივეს გათვალისწინებით, დაზარალებულის უმწეობის დასადგენად დამნაშავისათვის ყოველგვარი შესაძლო წინააღმდეგობის (კივილის, დაკაწვრის და ა.შ.) დადგენა სასამართლოსთვის არაარსებითი ხდება".**

„სასამართლომ დადგენილად ჩათვალა რ.ბ.-იასა და სხვათა მიერ არასრულწლოვნის მოტაცების ფაქტი მისი ნების საწინააღმდეგოდ, ამით დაუშვა საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ დაზარალებულის მიმართ ამ მოვლენის შემდეგ სხვა მისი ნების საწინააღმდეგო ზემოქმედებებიც წარიმართებოდა დაზარალებულის საწინააღმდეგოდ და ამ ვარაუდის გასაბათილებლად სასამართლოს უნდა მიეთითებინა ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც სქესობრივ კავშირზე დაზარალებულის თანხმობის არარსებობას დაადასტურებდნენ".[132]

გარდა ამისა, სასამართლომ, საქალწულე აპკის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, ქმედება კვლავაც დისკრიმინაციულად შეაფასა და პირი გაუპატიურების ჩადენაში უდანაშაულოდ ცნო, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და არღვევს ქალებისა და გოგოების უფლებებს.[133]

ამ საქმეში,[134] ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საქალწულე აპკის მთლიანობა არ იყო დარღვეული, თუმცა დაზარალებულს საქალწულე აპკის კიდეებზე აღენიშნებოდა სისხლჩაქცევები და სისხლჩაქცევის ფონზე არსებული ზედაპირული ნასკდომი. მოსამართლე დაეყრდნო სამედიცინო ექსპერტის ჩვენებას, რომელმაც დაადასტურა ექსპერტიზის დასკვნა და განმარტა, რომ დაზიანებები განვითარებული იყო მკვრივი ბლაგვი საგნის, შესაძლოა, მამაკაცის ერეგირებული სასქესო ორგანოს მოქმედებით და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებოდა ფაქტის ჩადენის თარიღს. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ საშოში მამაკაცის სასქესო ორგანოს შესვლის შემთხვევაში, საქალწულე აპკი დაირღვეოდა მდებარეობიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე, დაასკვნა, რომ საშოში ასო არ შესულა, იყო ზეწოლა. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ სქესობრივი აქტი დასრულებული იყო თუ დაუსრულებელი, ამის განმარტება მის კომპეტენციაში არ შედიოდა.

ამ დასკვნაზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები და ეჭვი უნდა გადამწყდარიყო ბრალდებულის სასარგებლოდ. შესაბამისად, მოსამართლემ გაამართლა ბრალდებული გაუპატიურების ნაწილში და დამნაშავედ ცნო მხოლოდ თავისუფლების უკანონო აღკვეთაში.[135]

მოსამართლის ამგვარი მიდგომა, რომელ-

132 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 12 სექტემბრის #2კ-67კოლ.-2000 განჩინება.

133 Eliminating Virginity Testing: An Interagency Statement, 2018, 4, https://bit.ly/3Crkew3 [2.010.2022].

134 პირს ბრალი ედებოდა არასრულწლოვნის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და არასრულწლოვნის გაუპატიურებაში.

135 გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის #1/65-21 განაჩენი.

მაც საქალწულე აპკის მთლიანობაზე დაყრდნობით გაამართლა პირი გაუპატიურების ბრალდებაში და მინიმუმ არ უმსჯელია გაუპატიურების მცდელობაზე, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საპირისპიროდ, დადებითად უნდა შეფასდეს ერთ-ერთი განაჩენი, სადაც სასამართლო დეტალურად მსჯელობს ქმედების შემადგენლობაზე, მის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეზე, მტკიცებულებების შესაბამისობაზე. ამასთანავე, ყურადღება გამახვილებულია ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე, როგორც ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებაზე და მასზე დაყრდნობით აქვს განსაზღვრული სასჯელის სახე და ზომა.[136]

დასაბუთებულობის კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნია, სასამართლოს მიერ გამოტანილი ერთ-ერთი განაჩენი, სადაც სასამართლო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის განხილვის გარდა, ასევე მსჯელობს სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებზე და მასზე დაყრდნობით - ქორწინების იძულების დანაშაულზე და მის მავნე ზეგავლენაზე. დასაბუთების ნაწილში კი, მითითებული აქვს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ქორწინების იძულების ფორმალური ბუნების თაობაზე და ასევე, გაკეთებული აქვს ციტირებები სახალხო დამცველის ანგარიშებიდან.[137]

2.2 სასჯელის დანიშვნა

საქმეების ანალიზის მიხედვით, დამნაშავეთა მიმართ უმეტესად პირობითი მსჯავრი[138] გამოიყენება, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი კი, დაბალია.[139]

სასჯელზე მსჯელობის დროს, არცერთ განაჩენში არ ყოფილა განმარტებული, რა გარემოებებმა განაპირობა სასჯელის სახისა და ზომის შერჩევა. მხოლოდ ფორმალურად იყო ციტირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე და 53-ე მუხლები და არ იყო დასაბუთებული გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა. სასჯელის დასაბუთებულობასა და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების სასჯელის დამძიმების ეფექტზე მსჯელობის სიმწირე განსაკუთრებით გამოიკვეთა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე.

პროკურატურამ მხოლოდ ორ საქმეში მიუთითა დანაშაულის გენდერულ მოტივზე, ხოლო სასამართლომ ზედაპირულად გაამახვილა ყურადღება ამ გარემოებებზე. ორივე შემთხვევაში მოსამართლემ მხოლოდ ტექნიკურად მოიხსენია გენდერული მოტივის არსებობა სისხლის სამართლის კოდექსის 531 მუხლზე მითითებით, სიღრმისეული მსჯელობის გარეშე, რამაც შეუძლებელი გახადა იმის შეფასება, თუ რა გავლენა იქონია ამ გარემოებამ სასჯელის დამძიმებაზე.[140]

ზემოაღნიშნულის გარდა, სასამართლო მიუთითებს სხვადასხვა შემამსუბუქებელ გარემოებაზე, რომლებიც, მართალია, კანონით არის გათვალისწინებული და შესაძლოა, მიზანშეწონილია სხვა დანაშაულებთან მიმართებით, თუმცა სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე, ქალების მიმართ დისკრიმინაციულია. მაგალითად, ეს გარემოებებია: ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან და აღიარა დანაშაული, ბრალდებული ნასამართლობის არმქონეა, დაზარალებულს და ბრალდებულს შორის მცირე ასაკობრივი სხვაობა (4 წელი) და მათ შორის არსებული „პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება“, ბრალდებულისა და დაზარალებულის ერთობლივი თანაცხოვრება და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ არცერთ სისხლის სამართლის საქმეში არ გამოუყენებიათ დამნაშავისათვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული

136 იხ. სისხლის სამართლის საქმე #100290921001.

137 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის #1-234-21 განაჩენი.

138 ქორწინების იძულების სამივე საქმეში პირობითი მსჯავრი იქნა გამოყენებული.

139 მხოლოდ 11 საქმეში მიუსაჯეს დამნაშავეს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა.

140 აღსანიშნავია ისიც, რომ კანონმდებლობის თანახმად, პროკურორს მხოლოდ საქმის სასამართლოში გაგზავნამდე აქვს უფლება დანაშაულის ჩადენის მოტივი, როგორც დანაშაულის ჩადენის დამამძიმებელი გარემოება, ასახოს ბრალდების შესახებ დადგენილებაში. მოსამართლე ხელმძღვანელობს საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით, რის გამოც მოსამართლე საკუთარი ინიციატივით ვერ დაუმძიმებს პირს ბრალდებას. ამდენად, თუ დანაშაულის ჩადენის მოტივის თაობაზე არ არის მითითებული ბრალდების შესახებ დადგენილებაში, რაც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა, მოსამართლე მოკლებულია ამ მოტივით სასჯელის დამძიმების შესაძლებლობას.

სავალდებულო სწავლების კურსის გავლის ვალდებულება.

თავი IV. თვისებრივი კვლევის ანალიზი

ამ თავში წარმოდგენილია ბავშვთა ქორწინების პრევენციაზე, გამოვლენასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელ სპეციალისტებთან, ასევე, სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების ანალიზი. ასევე განვიხილავთ სახალხო დამცველის წარმოებაში არსებულ საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლენილ ტენდენციებს, რომლებიც ადასტურებს იმ გამოწვევებს, რაზეც სხვადასხვა სპეციალისტი მიუთითებს.

1. სამართალდამცავებთან[141] ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლებთან ჩატარებული შეხვედრებიდან გაირკვა, რომ პოლიციელებს პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათად აქვთ შეხება ბავშვობის ასაკში ქორწინების საქმეებთან, სადაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები იკვეთება. თუმცა რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ მსგავსი შემთხვევების გამოვლენის პრობლემაზეც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით, განსხვავებული მონაცემებია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.[142]

პოლიციელთა ნაწილის განმარტებით, ქორწინების იძულებისა თუ ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევები იშვიათად ხდება და იგი ძირითადად, გავრცელებულია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიაზე, რაც მათი აზრით, მომდინარეობს ტრადიციებიდან და კულტურიდან. ამასთანავე, რესპონდენტთა განმარტებით, პანდემიის პერიოდში არ შეინიშნება ამგვარი შემთხვევების მატება.

როგორც პოლიციელები მიუთითებენ, შეტყობინების ინიციატორები ძირითადად სამედიცინო დაწესებულებები არიან, როდესაც არასრულწლოვანი მშობიარობს. თუმცა ინფორმაციას ასევე იღებენ საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ზრუნვის სააგენტოსგან.

პოლიციელთა ნაწილი სკოლების საგამოძიებო ორგანოებთან ურთიერთობის დადებით გამოცდილებებზე საუბრობს, თუმცა ასევე უთითებენ დაგვიანებულ კომუნიკაციასა და თანამშრომლობის ცუდ პრაქტიკაზეც.[143] მათი შეფასებით, კარგი იქნება, თუ პრევენციული ღონისძიებების განხორციელების დროსაც ითანამშრომლებენ. პოლიციელთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად თანამშრომლობენ ზრუნვის სააგენტოსთან, ხშირად დგება ფსიქოლოგის საჭიროება, თუმცა მათი არასაკმარისი რაოდენობის გამო ყველა საქმეში მათი ჩართვა ვერ ხერხდება.[144] კახეთის რეგიონის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა პრობლემად დაასახელეს თარჯიმანთა არასაკმარისი რაოდენობა და მათ მიერ თარგმანის სათანადოდ უზრუნველყოფაც.

პოლიციელები ძირითად გამოწვევად საზოგადოების ცნობიერებისა და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის ნაკლებობას ასახელებენ. მათი განმარტებით, კარგი იქნება, თუ ცნობიერების ამაღლების კამპანიები ჩატარდება და ამ კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ როგორც პოლიციელები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენ-

141 კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის და ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები.

142 მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების განმარტებით, ვერ იხსენებენ ბოლო წლებში მომხდარ შემთხვევას, სადაც იკვეთებოდა ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემა. მათი განმარტებით, ამის მიზეზი შეიძლება იყოს მოსახლეობის დუმილი ამ საკითხის მიმართ - „აღნიშნული საკითხები რჩება ოჯახში და გვარდება ოჯახში“. სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები კი მიუთითებენ, რომ, მართალია, ადრეულ ასაკში ქორწინების საქმეები წარმოებაში იშვიათად აქვთ, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ ამგვარი ფაქტები ხდებოდეს, მაგრამ პოლიციას არ ატყობინებდნენ.

143 სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მომუშავე პოლიციელებმა აღნიშნეს, რომ წლებია, რაც სკოლისგან რაიმე სახის ინფორმაცია არ მიუღიათ ბავშვთა ქორწინების შემთხვევებთან დაკავშირებით. რესპონდენტთა განმარტებით, სიღნაღში მანდატურის სამსახური და საგანმანათლებლო დაწესებულება არ თანამშრომლობს პოლიციასთან.

144 ფსიქოლოგების დეფიციტზე ყველა იმ რეგიონის პოლიციელმა ისაუბრა, სადაც შეხვედრები ჩატარდა.

ლები. პოლიციელთა აზრით, აუცილებელია შეხვედრების ჩატარება სკოლებში.[145] საინტერესოა, რომ პოლიციის თანამშრომელთა შეფასებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს მხოლოდ იმ რეგიონებში ატარებს, სადაც ადრეული ქორწინების შემთხვევების სტატისტიკა მაღალია, თუმცა შეხვედრების ჩატარება საჭიროა მთელი საქართველოს მასშტაბით. პოლიციელთა აზრით, ასევე მნიშვნელოვანია ამ თემებზე ყველა პოლიციელის გადამზადება.[146]

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა განმარტებით, მართალია, არის თანამშრომლობის პრობლემა, თუმცა ყურადღებას ამახვილებენ მსხვერპლთან სათანადო კომუნიკაციის დამყარებისა და მისი ნდობის მოპოვების მნიშვნელობაზე - „ჩვენების მიცემა დამოკიდებულია თავად სამართალდამცავის არასრულწლოვანთან დამოკიდებულებაზე, როგორ მიუდგება, როგორ გაიზიარებს მის პრობლემას. ამ შემთხვევაში ბავშვი გაიხსნება“.

პოლიციელთა ნაწილი მსგავს შემთხვევებზე საპროცესო შეთანხმებების გაფორმების ხშირ შემთხვევებს უარყოფითად აფასებს. თუმცა შეხვედრების დროს, ერთ-ერთმა პოლიციელმა აღნიშნა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების საქმეებზე უნდა იყოს უფრო მსუბუქი მიდგომა და გამოიყენებოდეს არა თავისუფლების აღკვეთა, არამედ ჯარიმა. როგორც თავად მიუთითებს, ეს საჭიროა იმისათვის, „რომ არ მოხდეს ოჯახის დანგრევა. რადგან ეს უკმაყოფილებას იწვევს ბიჭის გულში... გონებაში. რომ აი დაამცირეს, ესე რომ ვთქვათ“.

პოლიციელები პრობლემად აფასებენ იმ გარემოებას, რომ საკანონმდებლო რეგულირების მიღმა რჩება 16-დან 18 წლამდე პირთა შორის სქესობრივი კავშირის დამყარების შემთხვევები. მათი განმარტებით: „16 წლის შემდეგ შეუძლიათ ჰქონდეთ სქესობრივი ურთიერთობა, მაგრამ ქორწინების შესაძლებლობა არ აქვთ, რაც თავისებური საკითხია. ეს უნდა დარეგულირდეს“. ასევე, სახალხო დამცველის წარმოებაში არსებულ საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ უწყებებს განსაკუთრებით უჭირთ ბავშვობის ასაკში ქორწინების ისეთ ფაქტებზე რეაგირება, რომლებიც დანაშაულს არ უკავშირდება. კერძოდ, თუ თავდაპირველი შეტყობინებისას არ იკვეთება იძულების, არასრულწლოვანზე სხვა ტიპის ზემოქმედების, ძალადობის ნიშნები და ადგილი არ აქვს სრულწლოვანის მიერ 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, როგორც წესი, წყდება ან საერთოდ არ იწყება გამოძიება.[147] ეს, გარკვეულწილად, შეიძლება აიხსნას ეფექტიანი საკანონმდებლო ბერკეტების ნაკლებობით.

პრობლემის წინააღმდეგ ეფექტიანი რეაგირებისთვის, პოლიციელები აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნევენ საზოგადოების ცნობიერების გაზრდას, უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას, და შესაბამისი კადრების (მათ შორის, პოლიციელების, ფსიქოლოგების, თარჯიმნების, სოციალური მუშაკების და სხვა პირების) რაოდენობის გაზრდას და მათი შესაძლებლობების გაძლიერებას.

2. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს[148] თანამშრომლებთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში, სააგენტო) თანამშრომლების განმარტებით, მათ რეგიონებში ქორწინების იძულებისა თუ ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევები ძალიან იშვიათია.[149]

145 კახეთისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლები დადებითად აფასებენ „ნუ წაართმევ ბავშვობას“ კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებს და მათ აუცილებლობაზე მიუთითებენ.

146 სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ ტრენინგები მხოლოდ იმ პირებს უტარდებათ, ვინც არასრულწლოვნების საქმეებზე მუშაობენ.

147 საქმე #3227/20; #5659/20; #9779/20; #4165/22; #3290/22; #6325/22; #6192/22.

148 შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი.

149 მცხეთა-მთიანეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ერთეულის სოციალური მუშაკების წარმომადგენელთა შეფასებით, ასეთი შემთხვევები წარმოებაში არც ჰქონიათ, სამცხე-ჯავახეთში მომუშავე სოციალური მუშაკის განმარტებით კი, ამგვარი შემთხვევები უფრო მეტად 2014-2015 წლებში ხდებოდა.

თუმცა, სოციალური მუშაკები მიუთითებენ, რომ უფრო ხშირია ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევები, რომლებიც უმეტესად ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებზე ხდება, სადაც ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნა ტრადიციაა. კახეთის რეგიონში მომუშავე ერთ-ერთი სოციალური მუშაკის განმარტებით, „კატეგორიულად აცხადებენ, რომ ესაა მათი ტრადიციის განუყოფელი ნაწილი და თუ გოგო ისე დაამთავრებს სკოლას, რომ დანიშნული მაინც არ არის, უკვე სირცხვილად ითვლება“.

ამასთანავე, მართალია, ონლაინ სწავლების დროს გართულებული იყო შემთხვევების გამოვლენის შესაძლებლობა, მაგრამ პანდემიის პერიოდში შემთხვევების რაოდენობა არ გაზრდილა. გამონაკლისია კახეთის რეგიონი, სადაც სააგენტოს თანამშრომელთა განმარტებით, ბოლო პერიოდში იმატა ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებმა.

რესპონდენტების განმარტებით, შეტყობინების ინიციატორები უმეტესად საგანმანათლებლო დაწესებულებები არიან, თუმცა აქვე უთითებენ, რომ სკოლა შემთხვევას სააგენტოში წინასწარი მოკვლევის ან საკითხის შესწავლის გარეშე ამისამართებს. პრობლემად დასახელდა სააგენტოს ფსიქოლოგების ჩართულობის მოთხოვნაც.[150] ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა, რომ სააგენტოს ინფორმაციას ასევე აწვდიან სამართალდამცავი ორგანოები, საავადმყოფოები, სახალხო დამცველის აპარატი. გარდა ამისა, ბავშვთა ქორწინების შესახებ სოციალური მუშაკებისთვის ცნობილი ხდება ოჯახში ვიზიტის შედეგად და სოციალური ქსელების საშუალებით.[151]

სააგენტოს თანამშრომლები აღწერენ იმ პროცედურებს, რომლებსაც მიმართავენ ბავშვთა ქორწინების შემთხვევებზე რეაგირებისას. კერძოდ, ბავშვთა ქორწინების თაობაზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მიმართავენ პოლიციას (თუ უკვე არ არის მათთვის ცნობილი ფაქტის თაობაზე) და მიდიან ოჯახში, სადაც არკვევენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, მათ შორის, ხვდებიან არასრულწლოვანს, რათა დაადგინონ, ხომ არ ჰქონდა ადგილი ძალადობას ან/და იძულებას. ასევე, ავსებენ სკრინინგის ფორმას, შესაძლო ძალადობის ფაქტის გამოსაკვეთად. საჭიროების მიხედვით (აქ მოიაზრება სექსუალური ძალადობის, ქორწინების იძულების მსხვერპლები, არასრულწლოვნები, რომლებმაც სუიციდი სცადეს და სხვა ისეთი შემთხვევები, როდესაც დაზარალებულს ეტყობა სტრესი, ან „ორჭოფობა“) რთავენ ფსიქოლოგს.

სააგენტოს თანამშრომლები უარყოფითად აფასებენ იმას, რომ იძულებულნი არიან შეწყვიტონ საქმის წარმოება, თუ არასრულწლოვანი უკვე 16 წელს მიღწეულია და სხვა დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება. მათი განმარტებით, ასეთი შემთხვევები საკანონმდებლო რეგულირების მიღმა რჩება.

რესპოდენტების განმარტებით, მათ საქმიანობაში არ არის დანერგილი შემთხვევის მართვის სახელმძღვანელო წესები ან/და რაიმე სტრუქტურირებული ფორმა ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე სამუშაოდ. მათი აზრით, რეფერირების ზოგადი და საყოველთაო წესის მიღმა, მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე ერთიანი სახელმძღვანელო რეგულაციების შემუშავება. ამ ეტაპზე, მათი საქმიანობა, ძირითადად პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება.

ფსიქოლოგების მცირე რაოდენობას, როგორც სერიოზულ პრობლემას, ფაქტობრივად ყველა რეგიონში მომუშავე სოციალური მუშაკი ასახელებს. მათი განმარტებით, სწორედ ამ პრობლემის გამო ვერ ხერხდება ყველა საქმეში ფსიქოლოგის ჩართვა.

სოციალური მუშაკების შეფასებით, პოლიციის რეაგირება ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე გაუმჯობესებულია, თუმცა მდგომარეობა განსხვავებულია რეგიონების მიხედვით.[152] ასევე, კახეთში მომუშავე სოციალური მუშაკების განმარტებით: „არის შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავი

150 სოციალური მუშაკები მიუთითებენ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მაგალითად, მანდატურის სამსახურსაც ჰყავს ფსიქოლოგი და ამ რესურსის გამოყენებაც შეიძლება. სააგენტოს თანამშრომელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამით სკოლები პასუხისმგებლობას თავს არიდებენ.

151 მაგალითად, შიდა ქართლის სოციალური მუშაკი იხსენებს, რომ მისთვის ერთ-ერთი ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა სოციალური ქსელიდან, როდესაც არასრულწლოვანს დაოჯახებას სამოქალაქო განათლების მასწავლებლები სოციალურ ქსელში ულოცავდნენ.

152 მაგალითად, შიდა ქართლში მომუშავე სოციალური მუშაკები იხსენებენ შემთხვევას, როდესაც პოლიციამ ბავშვთან გასაუბრებას დაასწრო მამამთილი, რაც მათი აზრით, არასწორი იყო.

ორგანოს წარმომადგენლებს არ სურთ ფაქტზე სათანადო რეაგირება. არ ახორციელებენ შესაბამის საპროცესო/საგამოძიებო მოქმედებებს, ამასთან, აუცილებელია მათი ცოდნის გაზრდა ამ საკითხებთან დაკავშირებით". ხოლო აჭარის რეგიონში მომუშავე სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ ხშირად ხდება სახელმწიფო ორგანოების მიერ მათზე „ხელის შეწმენდა", მათ შორის, პოლიციის მხრიდან. მათივე განმარტებით, ხშირად პოლიცია და სკოლა არ ახდენს სათანადო რეაგირებას. როგორც ერთ-ერთი სოციალური მუშაკი აღნიშნავს, „პასუხისმგებლობას აკისრებენ სოციალურ მუშაკებს. ფუნქციურად არ ასრულებენ თავის საქმეს და ცდილობენ მოიშორონ ქეისი...".

ზემოაღნიშნულის გარდა, სოციალური მუშაკები, ასევე მიუთითებდნენ სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებზე, როგორიცაა საზოგადოების, მათ შორის, მშობლების[153] განათლებისა და ცნობიერების დაბალი დონე და არასრულწლოვნების განათლების მიღმა დარჩენა. რესპონდენტთა განმარტებით, ძირითად შემთხვევებში გოგოები წყვეტენ განათლების მიღებას და მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი განაგრძობს სწავლას.[154] გარდა ამისა, ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზად სახელდება ქვეყანაში ბენეფიციარი ოჯახების გასაძლიერებლად არსებული სერვისების ნაკლებობა და ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებზე არასათანადო რეაგირება და მსუბუქი სასჯელის გამოყენება.[155] სოციალური მუშაკების აზრით, მათი მცირე რაოდენობა, შეუსაბამოდ ბევრი ფუნქციის დაკისრება და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემები ხელს უშლით ეფექტიან რეაგირებაში.

სოციალური მუშაკების აზრით, ბავშვობის ასაკში ქორწინების პრევენციისა და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად, პირველ რიგში, საჭიროა სისტემატური საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარება მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლებისა და რეფერირების სუბიექტების მონაწილეობით. ასევე, მოსწავლეების ინფორმირება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, მათ შორის, საინფორმაციო ხასიათის ბროშურების მომზადება აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე.

ვინაიდან, ადრეულ ასაკში ქორწინების ხელშემწყობ გარემოებად სოციალურ-ეკონომიური პრობლემებიც სახელდება, სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია სოციალურად დაუცველი პირების ეკონომიური გაძლიერება, რათა ქორწინების გადაწყვეტილება ამ პრობლემის საფუძველზე არ მიიღებოდეს.

3. მანდატურის სამსახურის[156] თანამშრომლებთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები

მანდატურების განმარტებით, პრაქტიკაში უფრო ხშირად აქვთ ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევები. თუმცა, მათი აზრით, შედარებით იშვიათია ქორწინების იძულების და ამ მიზნით, არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტები. მათი აზრით, ამგვარი შემთხვევები უმეტესად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებშია გავრცელებული.[157] მანდატურების განმარტებით, კოვიდ პანდემიას არ მოუხდენია გავლენა ადრეულ ასაკში ქორწინების

153 ხშირად მშობლის პოზიცია არის, რომ „კარგ ბიჭზე ათხოვებენ შვილს, რომ არანაირ ძალადობას არ აქვს ადგილი და აპირებენ ყველაფერში ხელი შეუწყონ," ან მათი აზრით, „ბავშვი ჩააბარეს პატრონს".

154 სააგენტოს წარმომადგენლების ინფორმაციით, ბავშვები სოციალურ მუშაკებთან საუბრისას ამბობენ, რომ სწავლას გააგრძელებენ, მიიღებენ განათლებას, მაგრამ საქმის დახურვის შემდეგ აღარ ფლობენ ინფორმაციას, თუ რამდენად სრულდება ეს პირობა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც დასრულებული საქმეები უკან დაბრუნებიათ ახალი პრობლემებით.

155 მაგალითად, კახეთში მომუშავე სოციალური მუშაკების განმარტებით, დამკვიდრებული პრაქტიკაა მსუბუქი სასჯელის გამოყენება - პირობითი მსჯავრი, ჯარიმა და ა.შ., რაც ხშირ შემთხვევაში წამახალისებელი ეფექტის მატარებელია. „ხალხი შეეჩვია უკვე მსუბუქ სასჯელს". მათივე განმარტებით, „მოტაცება ერთგვარ „კაი ბიჭობად" ითვლება და წახალისებაა ჯარიმის გადახდა არასრულწლოვანი გოგოს მოტაცების შემთხვევაში, რასაც სიხარულით აკეთებენ". ამასთანავე, მოტაცების შემდგომ გოგო თითქმის ყველა შემთხვევაში განაგრძობს თანაცხოვრებას მოძალადესთან. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელია მკაცრი რეაგირება.

156 კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, აჭარა, სამეგრელო, იმერეთი.

157 მაგალითად, კახეთის მანდატურის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიაზე მკაცრად კონტროლდება გოგოების ცხოვრება, მათ პირადი ტელეფონებიც კი არ გააჩნიათ, მათი დაოჯახების საკითხებს ოჯახები წყვეტენ. შესაბამისად, გავრცელებულია ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა, თუმცა მანდატურის სამსახურისთვის იშვიათად ხდება ცნობილი.

შემთხვევებზე, თუმცა განსხვავებულია შიდა ქართლში მომუშავე მანდატურების პოზიცია, რომელთა შეფასებითაც, პანდემიამ გაზარდა ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტები.

როგორც რესპონდენტები მიუთითებენ, ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ ინფორმაციას იღებენ სკოლის ადმინისტრაციისგან, მოსწავლეებისგან, სოციალური ქსელიდან, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში - სახალხო დამცველის აპარატისგან და იშვიათად პოლიციისგან. მანდატურები ასევე საუბრობენ სკოლებში არსებულ პრობლემებზე. მაგალითად, აჭარის რეგიონის მანდატურების განმარტებით, ხშირად სკოლა ცდილობს ინფორმაციის დამალვას, გულგრილად ეკიდება საკითხს. ასევე, ზუგდიდის რეგიონის მანდატურების მოსაზრებით, მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენები შეიძლება მეტყველებდეს მის მიმართ რაიმე სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებაზე, თუმცა ეს ყოველთვის სათანადოდ არ აღირიცხება. მათივე თქმით, თავად მასწავლებლები არ იცნობენ სათანადოდ რეფერირების მექანიზმს და გამოირჩევიან დაბალი ცნობიერებით ამ საკითხებზე.

მანდატურები აღნიშნავენ, რომ ხშირად თავადვე ავლენენ ადრეული ქორწინების ფაქტებს მოსწავლეებზე დაკვირვების გზით.[158] იმ შემთხვევაში, თუ მიიღებენ შეტყობინებას ბავშვთა ქორწინების შესახებ, არკვევენ ფაქტობრივ გარემოებებს, ავსებენ დანართ #2, შემდეგ კი, ინფორმაციას აწვდიან სოციალური მომსახურების სააგენტოს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში - ატყობინებენ პოლიციასაც.[159] ასევე, ერთ-ერთი მანდატური განმარტავს, რომ არის შემთხვევები, როდესაც იციან, რომ პირები დაოჯახდნენ, თუმცა პოლიციას და სოციალურ სამსახურს არ ატყობინებენ, ვინაიდან იციან, რომ „აზრი არ აქვს“.

მანდატურები საუბრობენ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და შსს-თან ურთიერთობის სხვადასხვა გამოცდილებასა და თანამშრომლობის სირთულეებზე: ყურადღების ნაკლებობაზე, თანამშრომლობის ცალმხრივ ხასიათსა და წარუმატებელ შემთხვევებზე.[160] მათი თქმით, თანამშრომლობის ეფექტიანობა დამოკიდებულია ინდივიდუალურ პოლიციელებზე. კახეთის მანდატურების განმარტებით, გაცილებით უფრო მარტივია თანამშრომლობა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, ვიდრე პოლიციასთან.[161] მანდატურები ასევე საუბრობენ პოლიციელთა კომპეტენციის პრობლემაზეც. მათი განმარტებით, გაცილებით უფრო ეფექტიანი უკუკავშირი ახლავს 112-ში განხორციელებულ შეტყობინებას, ვიდრე პოლიციაში მისვლას. ქვემო ქართლის რეგიონის მანდატურები პოლიციასთან თანამშრომლობას არცთუ ისე პოზიტიურად აფასებენ. აღნიშნავენ, რომ მათ შეტყობინებებს ადრეულ ასაკში ქორწინების თაობაზე სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან, არ სურთ საქმეში ჩარევა: „არ დაგვირეკოთ“, „ხომ სწავლობდი შსს-ს აკადემიაში და ის არ იცი, რომ 17 წლიდან ბავშვს გათხოვების უფლება აქვს?“ „რამდენჯერაც მივმართეთ, იმდენჯერ ვიჩხუბეთ“, „გვეუბნებიან, რატომ რეკავთ 112-ზე? სამორიგეოში რატომ არ გინდათ მოგვმართოთ? იმიტომ, რომ სამორიგეო მიაფუჩეჩებს საქმეს, პატრული კი ოფიციალურად უდგება“. „რატომ გვაწუხებთ?“, „რატომ მიმართეთ პოლიციას. გოგოს ასაკი 16-ზე მეტია და მას აქვს უფლება თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება“. პოლიციასთან და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობის სირთულეზე საუბრობენ შიდა ქართლის რეგიონის მანდატურებიც.

158 მაგალითად, როდესაც გოგო სისტემატურად აცდენს სკოლას, ეს მათთვის ხდება მანიშნებელი იმისა, რომ შესაძლებელია ქორწინების იძულებას ჰქონდეს ადგილი და ინტერესდებიან ამ საკითხით. ასევე, ინტერესდებიან ისეთი შემთხვევებით, როდესაც სკოლის მოსწავლე იცვლის ჩაცმის სტილს, ატარებს ნიშნობის ბეჭედს, მისი აკადემიური მოსწრება უარესდება, მეგობრებთან საუბრობს სქესობრივი კავშირის დამყარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვ. არის შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანს ვიღაც მუდმივად ახლავს თან, რომელიც სკოლის დაწყებისა და დასრულების დროს მიაცილებს გოგოს.

159 კახეთის რეგიონში მომუშავე მანდატურების განმარტებით, პოლიციას მიმართავენ თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ქორწინების იძულების შემთხვევებში. შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მომუშავე მანდატურები პოლიციაში აგზავნიან ინფორმაციას ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტებზე. ქვემო ქართლის რეგიონის მანდატურების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პოლიციას მიმართავენ მაშინაც, როდესაც ადგილი აქვს არასრულწლოვნის ნიშნობას.

160 მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის მანდატურების განმარტებით, კარგი იქნებოდა პოლიციას უფრო მეტად ეთანამშრომლა მანდატურის სამსახურთან და ფაქტის შესახებ მანდატურის სამსახურისთვისაც ეცნობებინა.

161 იხსენებენ შემთხვევას, როდესაც სასწრაფო რეაგირებისთვის პოლიციას მიმართეს, თუმცა პასუხად მიიღეს, რომ ინსპექტორი ადგილზე არ იმყოფებოდა და სამი დღის შემდეგ დაუკავშირდებოდნენ.

მათი განმარტებით, ეს თანამშრომლობა უფრო მეტად ცალმხრივი ხასიათისაა, თუმცა მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ წლების წინ მდგომარეობა გაცილებით უარესი იყო. აჭარის მანდატურების განმარტებით, აწყდებიან გარკვეულ სირთულეებს პოლიციასთან თანამშრომლობის დროს, აღნიშნავენ, რომ თანამშრომლობის ეფექტიანობა დამოკიდებულია ინდივიდუალურ პოლიციელებზე.

პოლიციის მხრიდან არასათანადო რეაგირების ცალკეული მაგალითები გამოვლინდა სახალხო დამცველის წარმოებაში არსებულ საქმეთა შესწავლის საფუძველზეც. კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში მოსახლეობა უკმაყოფილო იყო პოლიციის უკუკავშირით, მათი გაჭიანურებული ან/და დაგვიანებული რეაგირების გამო. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში არასრულწლოვნის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტთან დაკავშირებით, ოჯახის წევრებმა გააპროტესტეს შსს-ს რეაგირება, ვინაიდან პოლიციისათვის მიმართვიდან 3 დღე იყო გასული და კვლავ არ იყო დადგენილი ბავშვის ადგილსამყოფელი.[162]

მანდატურების გარკვეულ ნაწილში შეინიშნება სტერეოტიპული დამოკიდებულება. მაგალითად, ერთ-ერთი მანდატური ამბობს, რომ „სკოლების გვერდით ყოველთვის არიან ახალგაზრდები, დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რომ უფროსკლასელი გოგონები გაკვეთილებზე შევიყვანოთ ხოლმე, მგონია, სკოლაში იმიტომ დადიან, რომ ახალგაზრდა ბიჭებს, სკოლის გარეთ რომ დგანან, თავი მოაწონონ“.

პრობლემად სახელდება ფსიქოლოგების დეფიციტი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ გოგოებთან კომუნიკაციის საკითხი. ფსიქოლოგებმა უმეტესად არ იციან აზერბაიჯანული ან სომხური ენა, რაც არასრულწლოვანთან კომუნიკაციას უფრო ართულებს.

გამოიკვეთა, რომ პრობლემურია უწყებებს შორის სათანადო კოორდინაციაც.[163] კოორდინაციის გასაუმჯობესებლად და ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების გასატარებლად, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ერთობლივი შეხვედრების ჩატარებას შსს-ს, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და მანდატურის სამსახურის თანამშრომელთა მონაწილეობით. მანდატურების აზრით, ადრეულ ასაკში ქორწინების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლების აქტივობების ჩატარება. აღნიშნავენ, რომ სქესობრივი ცხოვრებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირების მიზნით, აუცილებელია საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება როგორც თავად მანდატურის სამსახურის თანამშრომლებთან,[164] ისე მშობლებთან და მოსწავლეებთან.

მანდატურთა განმარტებით, ქორწინების შემდეგ, ბავშვები უმეტესად აღარ აგრძელებენ სკოლაში სიარულს და განათლების გარეშე რჩებიან. ანალოგიური ტენდენცია გამოიკვეთა სახალხო დამცველის წარმოებაში არსებულ საქმეებშიც, კერძოდ, ბავშვობის ასაკში ქორწინების გამო, არასრულწლოვანი გოგოები, ხშირად წყვეტენ განათლების მიღებას ან ექმნებათ სხვადასხვა ბარიერი და დაბრკოლება სკოლაში სასიარულოდ და საგაკვეთილო პროცესზე დასასწრებად.[165] ასევე, არასრულწლოვანი გოგოები სკოლაში სიარულს ზოგჯერ მოტაცების საფრთხისა და შიშის გამო წყვეტენ.[166]

მანდატურების აზრით, აუცილებელია სამოქალაქო განათლების მასწავლებლის შესაძლებლობების გაძლიერება და ამ საკითხებზე მოსწავლეების ცნობიერების გაზრდის მიზ-

162 საქმე #923/22.

163 მაგალითად, კახეთის რეგიონის მანდატურის სამსახურის წარმომადგენელმა არ იცოდა, რომ ფსიქოლოგის სერვისი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსაც ჰქონდა.

164 მანდატურები აღნიშნავენ, რომ მათთან უშუალოდ ბავშვობის ასაკში ქორწინების თემაზე შეხვედრებსა თუ ტრენინგებს არ ატარებენ. დადებითად აფასებენ წინა წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად ჩატარებულ შეხვედრებს.

165 მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში გამოვლინდა, რომ ოჯახს არ ჰქონდა საშუალება, ეყიდა გოგოსთვის პირადი და სასკოლო მოხმარების ნივთები (ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ჩანთა), რის გამოც არასრულწლოვანი არ დადიოდა სკოლაში. საქმე #2250/22. კიდევ ერთი არასრულწლოვნის შესაძლო ქორწინების იძულების საქმეში გამოიკვეთა, რომ ოჯახში იყო უკიდურესი სიღარიბე, ბავშვებს არ ჰქონდათ სათანადო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სასწავლო ნივთები, რაც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ბავშვები არ დადიოდნენ სკოლაში. საქმე #11898/21.

166 მაგალითად, ერთ-ერთ არასრულწლოვან გოგოს მე-7 კლასის შემდეგ, ბოლო 4 წელი შეწყვეტილი ჰქონდა სკოლაში სიარული, რადგან ეშინოდა, რომ მოიტაცებდნენ, ვინაიდან იმ ტერიტორიაზე, სადაც არასრულწლოვანი ცხოვრობდა, გავრცელებული იყო მოტაცების პრაქტიკა. საქმე #10315/20.

ნით მათი რესურსის მაქსიმალურად გამოყენება.

მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია კანონის გამკაცრება და 16-დან 18 წლამდე პირთა შორის სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტზე ეფექტიანი საკანონმდებლო ბერკეტების შემუშავება. ასევე, საჭიროდ მიიჩნევენ ოჯახების ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც მათი აზრით, ხელს შეუშლის ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების ზრდას.

4. სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან[167] ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები

სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და მასწავლებელთა განმარტებით, ბოლო წლების განმავლობაში შემცირებულია ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევები, თუმცა პრობლემა სრულად არ გადაჭრილა. ადრეულ ასაკში ქორწინების, ისევე როგორც ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტები განსაკუთრებით ხშირია ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიებზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კანონის გამკაცრების შემდგომ, იმატა არასრულწლოვანთა ნიშნობის შემთხვევებმა.

ეს საქართველოს სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეებითაც დასტურდება. აღსანიშნავია, რომ 2020 წელთან შედარებით, 2021-2022 წლებში სახალხო დამცველის აპარატისადმი მიმართვიანობა გაზრდილია არასრულწლოვანთა ნიშნობის ფაქტებზე, თუმცა საქმეების შესწავლა აჩვენებს, რომ უწყებები უმეტესად ვერ ახერხებენ სავარაუდო ქორწინების იძულების გამოკვეთას.[168]

მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატს ანონიმურად აცნობეს, რომ 13 წლის არასრულწლოვანი სრულწლოვან პირზე დაინიშნა. განმცხადებლის ინფორმაციით, ოჯახი მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობდა, არასრულწლოვნის მამა ხშირად მოიხმარდა ალკოჰოლს და სათანადოდ ვერ ართმევდა თავს მშობლის უფლებებსა და მოვალეობებს. ბავშვის დედა საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ხოლო არასრულწლოვანი ბებიასთან ერთად ცხოვრობდა და არ დადიოდა სკოლაში. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არასრულწლოვნის მიმართ რაიმე სახის დანაშაულის ნიშნები არ გამოვლენილა, შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა. ასევე, როგორც სახალხო დამცველის აპარატს აცნობეს, სოციალური მუშაკი, თარჯიმანთან ერთად, არაერთხელ მივიდა არასრულწლოვნის საცხოვრებელი სახლის მისამართზე და სკოლაში. მუშაობის პროცესში გამოვლინდა, რომ არასრულწლოვნის დასანიშნად მეზობელი სოფლიდან იყვნენ მისულები, მაგრამ ოჯახმა და ბავშვმა უარი თქვეს ქორწინებაზე. ოჯახის უარის შემდეგ ამ ფაქტს რაიმე სახის გაგრძელება არ მოჰყოლია.[169]

კიდევ ერთ საქმეში, სახალხო დამცველის აპარატს ანონიმურად აცნობეს მე-9 კლასის 14 წლის მოსწავლის დანიშვნის შესახებ, რომელიც აღარ აპირებდა სწავლის გაგრძელებას. ნიშნობა არასრულწლოვნის მშობლების გადაწყვეტილებით მოხდა და ბავშვი იძულებული იყო, რომ დამორჩილებოდა უფროსების ნებას. შსს-ს ინფორმაციით, ვინაიდან, არ გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები, გამოძიება არ დაწყებულა. ასევე, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოდან მიღებული წერილის თანახმად, არასრულწლოვანი არ იყო დანიშნული ან/და დაქორწინებული, იგი ცხოვრობდა მშობლებთან ერთად, ირიცხებოდა საჯარო სკოლაში და იღებდა შესაბამის განათლებას.[170]

მასწავლებელთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე ინფორმაციას ძირითადად სხვა მოსწავლეებისგან, სოციალური ქსელით ან მოსწავლის გაცდენაზე რეაგირების მიზნით, დამრიგებლის ოჯახთან კონტაქტის შედეგად იღებენ. რაც შეეხება ამგვარ შემთხვევებზე რეაგირებას, ასეთ დროს ისინი თანამშრომლობენ

167 შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი.

168 საქმეები: #105/22; #6536/22; #11296/21; #13942/21; #9779/20.

169 საქმე #2250/22.

170 საქმე #13942/21.

პოლიციასთან და ზრუნვის სააგენტოსთან. მასწავლებელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პოლიციასა და ზრუნვის სააგენტოსთან თანამშრომლობა ძირითადად წარმატებულია, თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თანამშრომლობა არ არის შედეგიანი და არასდროს იღებენ უკუკავშირს, თუ რა რეაგირება მოჰყვა მათ შეტყობინებას. საინტერესოა ერთ-ერთი მასწავლებლის მოსაზრება, რომელმაც განაცხადა, რომ „ადრეულ ასაკში ქორწინებას აქვს ბევრი უარყოფითი მხარე და პირველ რიგში ბავშვი წყვეტს სწავლას სკოლაში. ასევე აისახება ბავშვის ჯანმრთელობაზე და აქედან გამომდინარე, რეაგირება იქნება ის, რომ ამ საკითხზე მიდის საუბარი მშობლებთან და მეტი არაფერი, რადგან ეს არის მათი ოჯახის საქმე“.

მოსწავლეების მიერ სკოლის გაცდენის შემთხვევების აღრიცხვასთან დაკავშირებით, სკოლების უმრავლესობაში აღნიშნეს, რომ სარგებლობენ ელექტრონული ჟურნალით, სადაც ყოველდღიურად ასახავენ გაცდენებს, ხოლო ადმინისტრაცია აკონტროლებს ამ საკითხს.

თუმცა სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეები სკოლის მიერ არასრულწლოვნის გაცდენების სპეციალურ ჟურნალში სათანადოდ აღრიცხვის პრობლემაზე მიუთითებს. მაგალითად, 16 წლის არასრულწლოვნის შესაძლო ქორწინების იძულების ერთ-ერთ საქმეზე,[171] სადაც ქორწინების მიზეზით ბავშვმა შეწყვიტა განათლების მიღება, სახალხო დამცველის აპარატის მიერ სკოლაში განხორციელებული ვიზიტისას დადგინდა, რომ ბავშვები არ იმყოფებოდნენ დაწესებულებაში, თუმცა პედაგოგებს ბავშვების გაკვეთილებზე გამოუცხადებლობა სათანადოდ არ ჰქონდათ აღრიცხული. ასევე, ერთმანეთს არ ემთხვეოდა ერთსა და იმავე სასწავლო დღეს სხვადასხვა საგანში გაკეთებული დასწრების ჩანაწერები.[172]

გამოკითხულ მასწავლებელთა დიდი ნაწილი არ იცნობს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების მექანიზმს. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ამ თემაზე ტრენინგები არ ჩასტარებიათ. ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლები ამბობდნენ, რომ დირექტორის მოადგილეებს აქვთ ინფორმაცია ამ მექანიზმზე და საჭიროების შემთხვევაში, მათ მიმართავენ.

როგორც გამოკითხული მასწავლებლების ნაწილმა აღნიშნა, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე მოზარდებში ცნობიერების ასამაღლებლად ატარებენ ღია გაკვეთილებს, საინფორმაციო პროექტებს. ზოგიერთი სკოლის შემთხვევაში, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები ან კლასის დამრიგებლები ბავშვებთან ამ თემებზე საუბრობენ.[173] გარდა ამისა, ამ თემებზე მშობელთა კრებებზეც საუბრობენ.

მასწავლებლების მოსაზრებით, მშობელთა დამოკიდებულება ადრეულ ქორწინებაზე მეტწილად შეცვლილია. მათი უმეტესობა არ ემხრობა ნაადრევ ქორწინებას. განსხვავებულია ვითარება აზერბაიჯანული თემით დასახლებულ სოფლებში, სადაც ხშირად სწორედ მშობლები არიან ქორწინების ინიციატორები. მასწავლებლების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მშობლების დამოკიდებულება საკმაოდ შეცვლილია და ისინიც უარყოფითად აფასებენ ადრეულ ასაკში ქორწინებას.

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციების უმრავლესობას არ აქვს სახალხო დამცველის აპარატის გარდა სხვა უწყებებთან ან/და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება. ასევე, მათი განმარტებით, საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები ძირითადად პანდემიამდე პერიოდში ტარდებოდა.

მასწავლებელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ჩატარდეს საინფორმაციო კამპანიები, ასევე, მოსწავლეებთან გაიმართოს შეხვედრები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების შესახებ.

171 შესაძლო ქორწინების იძულების მიზეზი იყო ოჯახის ეკონომიკური პრობლემები, რის გამოც მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ ქორწინება საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

172 საქმე #11898/21.

173 რამდენიმე პედაგოგის პოზიცია ამ თემაზე, განსხვავებულია. მაგალითად, როდესაც ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემა არ დგას, ფიქრობენ, რომ ამ თემაზე ხშირმა საუბრებმა, შესაძლოა, უფრო დიდი ინტერესი გამოიწვიოს ბავშვებში და ამან უბიძგოს ადრეული ქორწინებისკენ.

5. სკოლის მოსწავლეებთან[174] ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები

სკოლის მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ადრეულ ასაკში ნებაყოფლობითი ქორწინების შემთხვევები უფრო გავრცელებულია, ხოლო უკანასკნელ წლებში იძულებითი ქორწინების შემთხვევები თითქმის არ ახსენდებათ. ზოგიერთი მათგანის აზრით, იძულებითი ქორწინება ხშირად რელიგიის სახელით, ძირითადად, აზერბაიჯანულ თემში ხდება. ქვემო ქართლში გამოკითხულმა მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ნიშნობისა და იძულების ფაქტები არც ისე იშვიათია. გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც მეოთხე კლასელი გოგო დანიშნეს აზერბაიჯანულ თემში. მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზი ხშირად სიღარიბეა. ასევე, შეიძლება იყოს ოჯახში ძალადობისგან გაქცევის სურვილი, ფიზიკური ლტოლვა საპირისპირო სქესის მიმართ და ზოგიერთ შემთხვევაში, ოჯახის მხრიდან იძულება.

მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა უარყოფითად აფასებს ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტს. ისინი აღნიშნავენ, რომ ქორწინება ბავშვებს ართმევს სათანადო განათლების მიღების უფლებას, მათ არ აქვთ გააზრებული თავიანთი გადაწყვეტილება და არ არიან სათანადოდ მომწიფებულები ასეთი ნაბიჯისთვის. მოსწავლეთა მხოლოდ გარკვეულ ნაწილს აქვს ინფორმაცია, რომ 18 წლამდე პირთა ქორწინება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად აკრძალულია, ხოლო მათი ნაწილი საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ამის შესახებ, ნაწილს კი არასწორი ინფორმაცია აქვს.

მოსწავლეთა უმრავლესობამ იცის, რომ მათი ან სხვა პირის მიმართ იძულების, მოტაცების ფაქტის შემთხვევაში, შეუძლიათ მიმართონ პოლიციას. თუმცა მოსწავლეების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ თუ ქორწინება ნებაყოფლობითია, არ ჩაერევიან და მხოლოდ ქორწინების იძულების შემთხვევაში მიმართავენ პოლიციას. მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მსგავს ფაქტებზე უწყებისთვის მიმართვას არ აპირებენ, რადგან ადამიანების არჩევანში და სხვის საქმეში ვერ ჩაერევიან, რადგან „ეს ოჯახი მათი მტერი გახდება“. შეუტყობინებლობის ერთ-ერთ მიზეზად, ასევე დაასახელეს სავარაუდო კონფლიქტის საფრთხე, რადგან სოფლებში არაფერი იმალება.

მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ადრეული ქორწინების თემაზე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ძირითადად პანდემიამდე პერიოდში ტარდებოდა. მოსწავლეთა დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ ამ საკითხზე საუბრობენ სამოქალაქო განათლების გაკვეთილების ფარგლებში.

მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია, რომ ყველა მოზარდს აქვს უფლება მიიღოს განათლება მიუხედავად „ქორწინებაში“ ყოფნის ან ორსულობისა. მათი აზრით, ხშირად სწავლის შეწყვეტის მიზეზი სირცხვილი ან კლასელების მხრიდან მიუღებლობის შიშია. თუმცა, თავის მხრივ, მოსწავლეები გამოხატავენ კეთილგანწყობას და მიიჩნევენ, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება დაბრუნდეს სკოლაში და განაგრძოს განათლების მიღება.

მოსწავლეთა აზრით, ადრეულ ასაკში ქორწინების თავიდან ასაცილებლად და საზოგადოების დამოკიდებულების შესაცვლელად, აუცილებელია ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები არა მხოლოდ ბავშვებთან, არამედ მოსახლეობასთან. ისინი ასევე უთითებენ სკოლაში სექსუალური განათლებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სწავლების აუცილებლობაზე.

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- → საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1501 მუხლში (ქორწინების იძულება) ცვლილებების განხორციელების გზით, ბავშვობის ასაკში ქორწინების ყველა შემთხვევა, რომელიც ჩადენილ იქნა სრულწლოვანი პირის მიერ, გახდეს დასჯადი და არასრულწლოვანთან მიმართებით არ იყოს დაწესებული აუცილებელი მოთხოვნები ფიზიკური თუ ფსიქიკური იძულების ხერხების გამოყენებასთან დაკავშირებით
- → ქორწინების იძულების მუხლს დამამძიმებელი გარემოების სახით დაემატოს მისი ჩადენა თავისუფლების უკანონო აღკვეთის გზით, რაც ხელს შეუწყობს ქორწინე-

174 შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი.

ბის იძულების სხვადასხვა ფორმის ერთ მუხლში სისტემატიზებასა და სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას

→ შევიდეს ცვლილება გაუპატიურებისა და სხვა სქესობრივი დანაშაულის მუხლებში, რათა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ითვალისწინებდეს მსხვერპლის თავისუფალი, ნამდვილი და ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობას.

რეკომენდაციები

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრისა და გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე მიეთითოს ადამიანის უფლებათა სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში
- შემუშავდეს ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგია ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და მისი თანმდევი დანაშაულების აღმოსაფხვრელად და სისტემატურად და კოორდინირებულად ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები; მის აღსრულებას გაეწიოს ეფექტიანი ზედამხედველობა
- ხელი შეუწყოს კოორდინაციის გაუმჯობესებასა და ერთობლივი სამუშაო შეხვედრების/ტრენინგების ჩატარების პრაქტიკის დანერგვას საგანმანათლებლო დაწესებულებების, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო ზრუნვის საგენტოს წარმომადგენლების მონაწილეობით
- ბავშვობის ასაკში ქორწინების საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავება-შეგროვების გასაუმჯობესებლად, კოორდინაცია გაუწიოს ერთიანი კონცეფციისა და მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ყველა უწყებას ერთიანი სტატისტიკური მონაცემები ექნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს ბავშვთა ქორწინების შემთხვევებზე ერთიანი ოპერაციული პროცედურების (სახელმძღვანელო წესები) შემუშავება, რომელიც დამტკიცდება შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით
- სისტემატურად გადამზადდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ბავშვთა ქორწინებისა და მისი თანმდევი დანაშაულების საკითხებზე, გამოკითხვის ტექნიკის, აგრეთვე არასრულწლოვნის შესაძლო ზეწოლისგან დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ
- გადაიხედოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების პრაქტიკა საქალწულე აპკის შემოწმებასთან დაკავშირებით (აპკის შემოწმება შეიცავს დაზარალებულის ინტერესების საზიანო გადაწყვეტილების მიღების და მისი სტიგმატიზაციის, ასევე, ბრალდებულის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების საფრთხეს)
- გენდერული მოტივის გამოსაკვეთად/გამოსარიცხად ჩატარდეს ყველა საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, მოწმეებისა და დაზარალებულებისთვის სათანადო დამაზუსტებელი კითხვების დასმის გზით
- თითოეული შემთხვევის მართვისას, სათანადოდ შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობა
- არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სექსუალური ძალადობის საქმეებში, დაზარალებულის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოს, რომ ბავშვის გამოკითხვა წარმართოს იმავე სქესის გამომძიებელმა, ხოლო არასრულწლოვანი განმეორებით გამოიკითხოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ახალი გარემოებების გამოვლენის დროს
- უბნის ინსპექტორები და მართლწესრიგის ოფიცრები გადამზადდნენ ბავშვობის ასაკში ქორწინების პრევენციისა და გამოვლენის თემატიკაზე
- აწარმოოს სეგრეგირებული სტატისტიკა ბავშვთან ქორწინების მოტივით ჩადენილ

დანაშაულებზე და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისათვის.

საქართველოს პროკურატურას:

- უზრუნველყოს ბრალდების შესახებ დადგენილებაში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის მითითება, როდესაც იგი დასტურდება საქმის გარემოებებით
- გადაიხედოს ბავშვთა ქორწინების თანმდევ დანაშაულებზე დამკვიდრებული ლმობიერი პრაქტიკა და ამ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა გახდეს ადეკვატურად მკაცრი, რაც ყველა შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების გაფორმებისგან თავის შეკავებას ან/და დამნაშავეთა მიმართ რეალური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას გულისხმობს
- გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებები უფრო დასაბუთებული უნდა იყოს, ქმედების შინაარსი კი, სრულყოფილად უნდა იყოს შეფასებული, მათ შორის, მსჯელობა უნდა იყოს განვითარებული იმის თაობაზე, თუ რატომ გამოირიცხება ამა თუ იმ დანაშაულის არსებობა მოცემულ საქმეში
- უზრუნველყოს გამოძიების ცალკე წარმოებად გამოყოფა ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული დანაშაულების შეუტყობინებლობისა და ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტებზე და მათი ჩამდენი პირების მიმართ გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

საერთო სასამართლოებს:

- გადაიხედოს არასრულწლოვანთა გაუპატიურების საქმეებზე ხარვეზიანი პრაქტიკა და აქცენტი გაკეთდეს არა დაზარალებულის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევაზე, არამედ ნების დამთრგუნველ გარემოებებსა და უმწეო მდგომარეობაზე
- სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროს, როდესაც დაზიანებებთან ერთად საქალწულე აპკიც მოწმდება, დასკვნა იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა არასრულწლოვანს ვაგინალური სქესობრივი კავშირი, არ გაკეთდეს მხოლოდ აპკის მდგომარეობაზე დაყრდნობით (აპკის შემოწმება შეიცავს დაზარალებულის ინტერესების საზიანო გადაწყვეტილების მიღების და მისი სტიგმატიზაციის, ასევე, ბრალდებულის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების საფრთხეს, რამაც, შესაძლოა, მისი გამართლება გამოიწვიოს)
- სასამართლოს განაჩენები, მათ შორის, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები, ჩადენილი დანაშაულის არსის, დანაშაულის ჩადენის მოტივისა და მიზნის და გამოყენებული სასჯელის რელევანტურობის მითითებით, დასაბუთდეს იმგვარად, რომ შინაარსი განხორციელებული მართლმსაჯულების სათანადოდ შეფასების შესაძლებლობას იძლეოდეს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს:

- აწარმოოს სეგრეგირებული სტატისტიკა ბავშვთან ქორწინების მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- ეტაპობრივად გაიზარდოს სისტემაში დასაქმებული პროფესიონალების, განსაკუთრებით, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა
- უზრუნველყოს ერთიანი ოპერაციული პროცედურების (სახელმძღვანელო წესები) შემუშავება ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების მიზნით, რომელიც დამტკიცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით
- უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის ცნობიერების ამაღლება ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე, მათ შორის, მიაწოდოს ინფორმაცია დანაშაულის შეუტყობინებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- უზრუნველყოს სოციალური მუშაკებისთვის ერთიანი ოპერაციული პროცედურების (სახელმძღვანელო წესები) შემუშავება ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებზე სამუშაოდ, რომელიც დამტკიცდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით
- უზრუნველყოს არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში, მათ შორის, პროფესიული მომზადების პროგრამაში ხელახლა ჩასართავად და სკოლაში დასაბრუნებლად, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება
- უზრუნველყოს მე-9 და უფრო მაღალი საფეხურის სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიული ტრენინგების დაგეგმვა და ჩატარება, მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გზით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ერთიანი ოპერაციული პროცედურების (სახელმძღვანელო წესები) მომზადება ბავშვთა ქორწინების შემთხვევების გამოვლენის, ეფექტიანი რეაგირებისა და გადამისამართების (რეფერირების) შესახებ, რომელიც დამტკიცდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით
- სისტემატურად გადამზადდნენ სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლები, მათ შორის, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებთან, ასევე რეფერირების პროცედურებთან და განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთათვის კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებთან დაკავშირებით
- ეროვნულ სასწავლო გეგმაში და შესაბამის საგნობრივ სტანდარტებში გაფართოვდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ საკითხების ინტეგრირება ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების UNESCO-ს ტექნიკური გაიდლაინის შესაბამისად და გატარდეს საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები მასწავლებლებში ამ კომპონენტის სწავლების უნარების გამოსამუშავებლად
- გარკვეული პერიოდულობით, უზრუნველყოს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარება სკოლის მოსწავლეების მშობლებთან ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო შედეგების, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და სამართლებრივი რეგულაციების თაობაზე.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების
საზიანო პრაქტიკა საქართველოში - არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები

სპეციალური ანგარიში